

ბრაიან ფრილი

თარგმანები

სამ მოქმედებად

(ინგლისურიდან თარგმნა დავით გაბუნიაშვილმა)

ედვინი სტივენ რის

მოქმედი პირნი:

მანუსი

სარა

ჯიმი ჯეკი

მეირე

დოულთი

ბრიჯიტი

ჰიუ

ოუენი

კაპიტანი ლენსი

ლეიტენანტი იოლანდი

მოქმედება ხდება პატარა დასახლება ბელი ბეგის/ბელიბეგის ღარიბულ სკოლაში¹, დონეგალის საგრაფოში, ირლანდიურ ენაზე მოლაპარაკე თემში.

პირველი მოქმედება — 1833 წლის აგვისტოს მინურული, ნაშუადღევია.

მეორე მოქმედება — რამდენიმე დღის შემდეგ.

მესამე მოქმედება — მომდევნო საღამო.

(ბერძნული ენის არმცოდნე მსახიობებისა და მკითხველებისთვის საქმის გასაიოლებლად, ტექსტში გამოყენებული ბერძნული სიტყვები და ციტატები მოტანილია ლათინური ანბანით. დედანი, ლათინური და სიტყვა-სიტყვითი თარგმანებით იხილეთ დანართში)

¹Hedge-school - ისტ. ღარიბთა სკოლა ღია ცის ქვეშ (ან შეუსაბამოდ ფარდალალა ნაგებობაში) ირლანდიაში.

პირველი მოქმედება

ღარიბული სკოლა მოწყობილია მიტოვებულ ბელეში ან თივის ფარდულში ან ბოსელში. უკანა კედელთან 5-6 ბაგის ნარჩენი მოჩანს – ხის ბოძები და ჯაჭვები – სადაც ოდესღაც ძროხებს წველიდნენ და აძინებდნენ. მარცხენა მხარეს ორფრთიანი კარია, იმხელაა, რომ შიგ თავისუფლად შემოეტევა ურემი. მარჯვნივ ფანჯარაა. ხის უმოაჯირო კიბე მაღლა, დირექტორისა და მისი ვაჟის საცხოვრებელ ოთახებში ადის (ოთახებს მაყურებელი ვერ ხედავს). მთელ ოთახში მიმოზნეულია დამტკვრეული და უფუნქციოდ დარჩენილი საგნები: ურმის ბორბალი, კიბორჩხალების საჭერი კალათები, სამეურნეო იარაღები, კარაქის სადღვებლა; აქა-იქ თივაა მიმოფანტული და ა.შ. ასევე დგას ჯორკოები და გრძელი ძელსკამები მოსწავლეებისათვის და ერთი მაგიდა და სკამი მასწავლებლისთვის. კართან ერთი ვედრო წყალი და ჭუჭყიანი პირსახოცი კიდია. ოთახს ნამდვილად ვერ ვუნოდებთ კომფორტულს, მტვრითაა სავსე და ყველაფერს მხოლოდ პრაქტიკული დანიშნულება აქვს – აქაურობას ქალის ხელი აკლია.

პიესის დასაწყისში მანუსი სარას ლაპარაკს ასწავლის. მის გვერდით ჩამუხლულა. სარა დაბალ ჯორკოზე ზის, თავი დაუხრია, ძალიან დაძაბულია, პატარა დაფას მუხლებზე მთელი ძალით იჭერს. მანუსი რბილად, მაგრამ შეუპოვრად ცდილობს, შედეგს მიაღწიოს – საერთოდ, ყველაფერს ასე აკეთებს, ერთგვარი ფანატიკური ენთუზია ზმით.

მანუსი დაახლოებით 30 წლისაა (ცოტა მეტის, ან ოდნავ ნაკლების); მასწავლებლის უფროსი ვაჟია. სახე ფერმკრთალი აქვს, თხელი აღნაგობისაა, მონდომებული კაცია, უხელფასოდ მუშაობს მამამისის ასისტენტად სკოლაში. ტანსაცმელი გასცვეთია და როცა გადაადგილდება, ვამჩნევთ, რომ კოჭლობს.

სარას მეტყველების ისეთი მძიმე დეფექტი აქვს, რომ მთელი ცხოვრება იქაურებს მუნჯად მიაჩნდათ და თვითონაც შეეგუა ამას: როცა რაღაცის თქმა სურს, ბუტბუტებს და გაურკვეველ ცხვირისმიერ ბგერებს გამოსცემს. უსახლკაროს ჰგავს და ვერ მიხვდები, ჩვიდმეტი წლისაა თუ ოცდათხუთმეტის.

ჯიმი ჯეკ კეისი – „ეუნდრეკინდად“ წოდებული – თავისთვის, ცალკე ზის, კმაყოფილი კითხულობს ჰომეროსს ბერძნულად და ელიმება. სამოცს გადაცილებული ბერბიჭაა, მარტო ცხოვრობს და საღამოს გაკვეთილებზე ერთი მხრივ იმიტომ დადის, რომ საზოგადოებაში გაერიოს, მეორე მხრივ კი – ინტელექტუალური სტიმულაციისათვის. თავისუფლად ფლობს ლათინურსა და ბერძნულს, მაგრამ არამც და არამც არ არის პედანტი – მისთვის სრულებით ნორმალური ამბავია ამ ენების ფლობა. არასოდეს ბანაობს. მისი ტანსაცმელი – სქელი ქულაჯა, ქუდი, ხელთათმანები, რაც ახლა აცვია – ჭუჭყიანია, და ზამთარ-ზაფხულ სულ ასე გამოწყობილი დადის, არც დღე იხდის და – არც ღამე. ზის და ხმადაბლა კითხულობს, უაღრესად კმაყოფილს ელიმება. ჯიმისთვის ღმერთები და ანტიკური მითები ისეთივე ნამდვილი და ჩვეულებრივია, როგორც ბილი ბეგის დასახლებაში ყოველდღიური ცხოვრება.

(მანუსს სარას ხელები უჭირავს და ნელა, დამარცვლით წარმოთქვამს სიტყვებს.)

მანუსი: ყველაფერი კარგად გამოგვდის. მოდი, ერთხელაც ვცადოთ – მხოლოდ ერთხელ. აბა – მოეშვი და შეისუნთქე... ღრმად... ახლა ამოისუნთქე... შეისუნთქე... და ამოისუნთქე...

(სარა ჯიუტად და გამეტებით გააქნევს თავს უარის ნიშნად)

მიდი, სარა, მიდი. ეს ჩვენი პატარა საიდუმლო იქნება.

(სარა კვლავ გამეტებით და ჯიუტად აქნევს თავს)

არავინ გვისმენს. შენი ხმა არავის ესმის.

ჯიმი: 'Ton d'emeibet epeita thea glaukopolis Athene...'²

მანუსი: ენა და ტუჩები აამოძრავე. "მე მქვია..." მიდი. ერთხელაც სცადე. "მე მქვია..." კარგი გოგო ხარ.

სარა: მე...

მანუსი: ყოჩაღ. "მე მქვია..."

სარა: მე... მე...

მანუსი: თავი აწიე. დაიყვირე. არავინ გისმენს.

ჯიმი: "...alla hekelos estai en Atreidao domois..."³

მანუსი: ჯიმი, გთხოვ! ერთხელაც – კიდევ ერთხელ რა – "მე მქვია..." კარგი გოგო ხარ. მიდი, რა. თავი აწიე. პირი გააღე.

სარა: მე...

მანუსი: ყოჩაღ.

სარა: მე...

მანუსი: ყოჩაღ.

სარა: მე მქვია...

მანუსი: მერე?

სარა: მე მქვია...

მანუსი: მერე?

(სარა ჩერდება. შემდეგ სწრაფად მიაყრის)

სარა: მე მქვია სარა.

მანუსი: გადასარევი! მაგარია! *(მანუსი სარას ეხუტება. სარა მორცხვად ილიმის, დაბნეული და კმაყოფილია)* გაიგონე, ჯიმი? – "მე მქვია სარაო" – როგორ ჩაარაკრაკა. *(სარას)* ვუნდერკინდი ვერ ხვდება, რას ვაკეთებთ.

(სარას ელიმება ამ სიტყვებზე. მანუსი კიდევ ერთხელ მოეხვევა და წამოდგება)

ახლა უკვე მართლა დავინყეთ! ველარაფერი შეგვაჩერებს! არ არსებობს ამქვეყნად ძალა, რომელიც ხელს შეგვიშლის!

(ჯიმი ამ სიტყვებზე ჩაიციინებს, მათთან მოდის)

ჯიმი: ერთი ამას მოუსმინე, მანუს.

² "ასე დაამზვიდა თვალსხივოსანმა ათენამ იგი (ოდისევსი). („ოდისეა“, XIII, 420)

³ "...უზრუნველად ზის იგი ატრევსიანთა (ათენის ძეთა) ოჯახში..." („ოდისეა“, XIII, 423-4)

მანუს: მალე ყველა საიდუმლოს მომიყვები, რასაც ამდენი წელია მაგ თავში ინახავ. გისმენ, ჯეიმს – აბა, რა გინდოდა? (სარას) მოდი, სკამები დაალაგე, კარგი?

(მანუსი კიბეზე არბის)

ჯიმი: მოიცა, მანუს, ჯერ მომისმინე.

მანუსი: მიდი, დაიწყე! ახლავე ჩამოვალ.

ჯიმი: "Hos ara min phamene rabdo epemassat Athene..." "ეს უთხრა და კვერთხი შეახო ათენამ. მეყსეულად დამჭკნარ და გალეულ მოხუცად აქცია ოდისევსი. ჩალისფერი, ხშირი თმა გაუცვინა და ..." ოჰ, რა ეშმაკია! ნამდვილი ეშმაკი!

(მანუსი კვლავ გამოჩნდება, თასით რძე და პურის ნაჭერი მოაქვს თან)

მოიცა, უსმინე, ახლა რას უზამს. ჯერ არ დაუმთავრებია!

(მანუსი კიბეზე ეშვება და სარას რძიანი თასით მიესალმება, სადღეგრძელოსავით)

"Knuzosen de oi osse..." "და ბრიალა თვალები ჩაუქრო. წვირიანი ჯვალთი და ჭვარტლით გამურული ქიტონით შემოსა..." ხედავ! ჭვარტლიო! გესმის შენა, ჭვარტლიო! აბა, შემომხედე, მაგ ტორფების ჭვარტლმა და კვამლმა რა მიქნა! (სწრაფად მოიხდის ქუდს და მელოტ თავს გამოაჩენს) აბა, ახლა ამას ქვია ჩალისფერი, ხშირი თმა?

მანუსი: რა თქმა უნდა, აბა რა არის?

ჯიმი: "ხოლო ზედ ირმის გაქუცული ტყაპუჭი მოასხა. ხელში ჯოხი მისცა და დაგლეჯილი გუდა გადააჰკიდა მხარზე." ჰაჰაჰა! აი, რა გაუკეთა ათენამ ოდისევსს! მათხოვრად გადააქცია! უყურე შენ, რა ქალია, არა?!

მანუსი: ჯიმი, ეგეთ ქალს ვერ შეხედავდი.

ჯიმი: ხო იცი, რას ეძახიან?

მანუსი: Glaukopis Athene⁴.

ჯიმი: ჰო! თვალსხივოსან ათენას! ღმერთო, მანუს, ბატონო ჩემო, ეგეთი ქალი რომ გყოლოდა სახლში, ტორფის შეგროვებაზე კი არ იფიქრებდი... არა?

მანუსი: ქალღმერთი იყო, ჯიმი.

ჯიმი: მაგას კაცები ისე უყვარს, წყურვილს რა მოუკლავს.

მანუსი: აუტანელი ხარ, ჯიმი.

ჯიმი: წუხელ ჩემთვის ვფიქრობდი: აი, ასარჩევად რომ გქონდეს საქმე – ათენა, არტემიდე და ტროელი ელენე – სამივე ზევსის გოგოები – წარმოიდგინე, სამი ეგეთი მაგარი ქალიშვილი რომ გყავს და თანაც, ეგ მხოლოდ ათენაში! – ხოდა, ამათ შორის ასარჩევად რომ გქონდეს საქმე, რომელს აირჩევდი?

⁴ "თვალსხივოსანი ათენა"

მანუსი: (სარას) რომელი უნდა ამერჩია, სარა?

ჯიმი: ელენეს ნუ ეწყინება და, და ნურც არტემიდე მინყენს; მაინც მგონია, რომ დაუფიქრებლად ავირჩევდი ათენას. ღმერთს გეფიცები, ბატონო ჩემო, მაგისი ანთებული თვალები კაცს მოსვენებას არ მისცემდა!

(უცებ, მოულოდნელად, თითქოს სპაზმმა მოუარაო, ჯიმი წამოხტება, გაიჯგიმება და სალუტს აძლევს, სახეზე მტანჯველი ექსტაზი შეჰყინვია.)

(მანუსი იცინის. სარაც. ჯიმი კვლავ ჯდება და საკითხავს უბრუნდება)

მანუსი: დიდი საშიში კაცი ხარ შენ, ჯიმი ჯექ!

ჯიმი: "თვალსხივოსანი"! ჰაჰ! რა კაცია ეს ჰომეროსი, როგორ ესმის ყველაფერი რა. ყველაფრის აზრზეა.

(მანუსი ფანჯარასთან მიდის, გადაიხედავს)

მანუსი: სად ჯანდაბაში დაიკარგა?

(სარა მიუახლოვდება მანუსს და იდაყვზე შეეხება. მუნჯურად ანიშნებს ბავშვის რწევას)

ხო, ვიცი, რომ ნათლობაზეა; მაგრამ ბავშვისთვის სახელის დარქმევას მთელი დღე სჭირდება?

(სარა უესტებით სასმელის დასხმას და გადაკვრას ასახიერებს)

ექვცი არ შეგეპაროს, ეგრე იქნება. რომელ პაბში?

(სარა მიუთითებს)

გრეისისთან?

(არა, უფრო შორს)

კონ კონი ტიმთან?

(არა, მანდედან მარჯვნივ)

ანა ნა მბრეიგთან?

(ჰო, ეგაა.)

გადასარევია, ეგ კარგად გამოატყვრობს. ესე იგი, მე მომიწევს გაკვეთილის ჩატარება და ეგაა.

(მანუსი იწყებს წიგნების, დაფების, ცარცის, ტექსტების და ა.შ. სკამებზე ჩამორიგებას.)

სარა თივაში ჩამალულ ყვავილების თაიგულს ამოიღებს. ამ უხმო სცენის მანძილზე ჯიმი განავრძობს)

ჯიმი: "autar o ek limenos prosebe..." "ოდისევსმა ზურგი აქცია ყურეს და ციცაბო ბილიკით მთას აუყვა. იქ, დაბურულ ტყეში, მისი ერთგული ყმა, მელორე ევმეოსი ცხოვრობდა, რომელიც..." "o oi biotoio malista kedeto" – ეს რას ნიშნავს, მანუს?

მანუსი: "გულმოდგინედ ზრუნავდა მის საბადებელზე".

ჯიმი: მართალია. "მელორე ევმეოსი ცხოვრობდა, რომელიც დღემდე თავდადებულად ემსახურებოდა თავის პატრონს და გულმოდგინედ ზრუნავდა მის საბადებელზე".

(სარა მანუსს ყვავილებს ჩუქნის)

მანუსი: რა ლამაზი ყვავილებია, სარა!

(სარა შერცხვენილი გარბის, თავის ადგილას ჯდება და თავს ნიგნში ჩარგავს. მანუსი მიუახლოვდება.)

ყვა-ვი-ლე-ბი.

(პაუზა. სარა არ ამოხედავს)

აბა, თქვი: ყვა-ვი-ლე-ბი. მიდი, ყვა-ვი-ლე-ბი.

სარა: ყვავილები.

მანუსი: აი, ხომ ხედავ! უკვე გათავისუფლდი!

(მანუსი დაიხრება და სარას თავზე კოცნის)

ყვავილები მართლა მშვენიერია. დიდი მადლობა.

(შემოდის მეირე, განონასწორებული, ტანმკვირივი ქალი, ხუჭუჭა თმით. 20-ს გადაცილებულია. თან მოაქვს პატარა ბიდონით რძე)

მეირე: სუ ეგა ვართ? გაკვეთილი არ გვექნება ამ საღამოს?

მანუსი: მამაჩემი თუ არ დაბრუნდა, მე ჩავატარებ.

(მანუსი უხერხულად დგას, სარასთვის კოცნის დროს წაუსრეს და ყვავილების თაიგული გულზე მიუკრავს)

მეირე: კარგი სანახავია, ღმერთმანი. აჰა, შენ რძე. სარა, როგორ ხარ?

(სარა რაღაცას დაიღმუვლებს პასუხად)

მანუსი: დაგინახე, რომ თიბავდი.

(მეირე ყურადღებას არ აქცევს და ჯიმისკენ მიდის)

მეირე: ჯიმი ჯეკ კესი როგორ ბრძანდება?

ჯიმი: მოდი, აქ დამიჯექი, მეირე.

მეირე: შენ რომ საშიში კაცი ხარ?!

ჯიმი: დონეგალში ჩემსავით უწყინარ კაცს მეორეს ვერ იპოვი.

(მეირე ჯიმის გვერდით, სკამზე დაეთხლაშება)

მეირე: ოოოოჰ. ამბობენ, ეგეთი მოსავალი ჩვენს დღეში არ გვინახავსო... მაგრამ რად მინდა ამისთანა მოსავალი. (ჯიმის ხელებს აჩვენებს) აბა, ამ კოჭრებს შეხედე.

ჯიმი: Esne fatigata?

მეირე: Sum fatigatissima.

ჯიმი: Bene! Optime!⁵

მეირე: სუ ეგ იყო მთელი ჩემი ლათინური. ნეტაი კი მაგდენივე ინგლისური ვიცოდე, რა მიჭირს.

ჯიმი: ინგლისური? მეგონა, ცოტა ინგლისური იცოდი.

მეირე: სამი სიტყვა. მოიცა – ერთი წინადადება ვიცოდი ზეპირად. როგორ იყო? (უცნაური აქცენტი აქვს, რადგან უცხო ენაზე ლაპარაკობს და არ ესმის, რას ამბობს) “In Norfolk we besport ourselves around the maypoll.”⁶ ჰა, როგორია!

მანუსი: Maypole. (მეირე ისევ არ აქცევს ყურადღებას მანუსის შენიშვნას)

მეირე: ღმერთო აცხონე დეიდაჩემი მერი – ოთხი წლის ვიყავი, ეგ რო მასწავლა, მარა რას ნიშნავს კი არ ვიცი. შენ ხო არ იცი, რას ნიშნავს, ჯიმი?

ჯიმი: ძალიან კარგად მოგეხსენება, რომ შენი არ იყოს, მეც მარტო ირლანდიურად ვლაპარაკობ.

მეირე: ლათინურად და ბერძნულადაც.

ჯიმი: არა, გატყუებ, ერთი ინგლისური სიტყვა ვიცი.

მეირე: რომელი?

ჯიმი: Bo-som.

მეირე: რას ნიშნავს მერე ეგ ბუ-ზმ.

ჯიმი: ხო ხვდები ... (ხელებით აკეთებს მკერდის ილუსტრაციას) – ბუ-ზმ, ბუ-ზმ... ხო მიხვდი... დიანას, ნადირობის ქალღმერთს ქონდა ჯიშიანი ძუძუები.

მეირე: ხო, ეგ სიტყვა კი გეცოდინება ინგლისურად, როგორ არა. (დგება) ერთი ყლუპი წყალი არა გაქვთ სადმე?

(მანუსი თავის რძის თასს უწვდის)

⁵ (ლათ.) - დაღლილი ხარ? - ძალიან დავიღალე. -კარგი! გადასარევი!

⁶ (ინგლ.) „ნორფოლკში ჩვენ სამაისო ბოდის (მაისის დღესასწაულის ბოდის) ირგვლივ ვერთობით/ვმხიარულობთ.“

მანუსი: ბოდიში, ნუხელ ვერ ავდექი.

მეირე: არა უშავს.

მანუსი: ბიდი ჰანამ დამიბარა, თავისი დისთვის წერილის მიწერა უნდოდა. მთელი ჩვენი სოფლის ქორების. "წინა კვირას სამჯერ მივიყვანე ძროხა ხართან, მაგრამ შენც არ მომიკვდე. ხარიც მარტო ერთი დაგვრჩა, ბიგ ნედ ფრენკისა."

მეირე: (მოსვამს) უხ, მომეშვა.

მანუსი: მერე ისე გაერთო, რომ დაავიწყდა, ვის კარნახობდა: "ბებერი ლოთი სკოლის მასწავლებელი და მაგისი კოჭლი ბიჭი ისევე ასულელებენ ხალხს იმ სკოლაში, ხალხი ტყუილად ფლანგავს დროს და ფულს."

(მეირე ზრდილობის გამო იცინის)

მეირე: არ არსებობს!

მანუსი: მე კიდევ ამ ყველაფერს ვინერდი. "მადლობა ღმერთს, მაღლა, პოლ ნა გკაორახზე საჯარო სკოლას აშენებენ." შუალამეს გადაცილებული იყო, სახლში რომ დავბრუნდი.

მეირე: კარგია, კაცს საქმე თავზე რომ გაყრია.

(მეირე გაეცლება. მანუსი მიჰყვება)

მანუსი: უკანა გზაზე მუსიკა შემომესმა, მაგრამ ვიფიქრე, სტუმრობისთვის ძალიან გვიანია- მეთქი.

მეირე: (სარას) მამაშენი რა ხმაზე იყო ნუხელ?! (სარა თავს დაუქნევს და უღიმის) ღამის სამი საათი იქნებოდა, სახლში რომ დაბრუნდით, არა? (სარა ოთხ თითს აჩვენებს.) ოთხი იყო? აღარ მიკვირს, ფეხზე რო ველარ ვდგავართ.

მანუსი: ხვალ თიბვაში მოგეხმარები...

მეირე: მოიცა, ჰორნპაიპს ცეკვავენ იმ სიმღერაზე, რა ქვია?

მანუსი: თუ კარგი ამინდი იქნა.

მეირე: ნახე, თუ მოიცლი... იქ ქვემოთ, ინგლისელი ჯარისკაცები ცხოვრობენ, კარვებში. მესანგრეები არიან, ეგენი მოდიან მოსახმარებლად. ერთი სიტყვა არ მესმის, რას ლაპარაკობენ. არც იმათ ესმით ჩემი; მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს, არა?

მანუსი: რას მებუტები, ვერ გავიგე!

(დოულთი და ბრიჯიტი შემოდინ ხმაურით. ორივე ოცს გადაცილებულია. დოულთი მიწის საზომ ჯობს იქნევს. გულღია, მხიარული, გულუხვი და ცოტა ჩაფსკენილი ახალგაზრდა კაცია. ბრიჯიტი ფაშფაშა, მხიარული ახალგაზრდა ქალია, კისკისა, პრანჭია და სოფლის გოგოს ბუნებრივი ეშმაკობა დაჰყვება. დოულთი დირექტორის პაროდიას აკეთებს შემოსვლისას.)

დოულთი: მიმწუხრის სალუტს გიძღვნიტ ყველას.

- ბრიჯიტი:** კარეგ ნა რიდან მობრძანდება და ღორივით გამომტყვევრალია!
- დოულთი:** Ignari, stulti, rustici⁷ – გომბიოებო და სოფლის ტეტიებო – ნახევრად ბნელებო და ნაბიჭვრებო.
- ბრიჯიტი:** დილიდან მოყოლებული გადაკრულშია; პატარები თერთმეტ საათზე გაუშვა სახლებში.
- დოულთი:** სამი კითხვა მაქვს. "ა" კითხვა – მთვრალი ვარ თუ არა? კითხვა "ბე" – იქნებ ფხიზელი ვარ? (სახეში მიახლის მეირეს)— Responde ... responde!⁸
- ბრიჯიტი:** "ცე" კითხვა – მასწავლებლო, ბოლოს როდის იყავით ფხიზელი?
- მეირე:** ეგ რა იარაღი გიჭირავს, დოულთი?
- ბრიჯიტი:** მე გავაფრთხილე, მაგის გამო დაგიჭერენ-მეთქი.
- დოულთი:** ერთხელ მივდივართ ბრიჯიტთან და მაგის მოხუცთან ერთად ქაობებში, და რას ვხედავ – "წითელი მუნდირები" დგანან გადაღმა, მთის ძირში, რალაცა ჟანგიან ჯაჭვებს მიათრევენ და იმაში იყურებიან, რა ქვია, იმ დიდ რალაცა მონყობილობაში, სულ თან რო დაათრევენ... ხო არ იცი, რა ქვია მაგას, მანუს?
- მეირე:** თეოდოლიტი.
- ბრიჯიტი:** შენ საიდან იცი?
- მეირე:** წვიმის დროს ჩვენს ფარდულში ტოვებენ ხოლმე შესანახად.
- ჯიმი:** თეოდოლიტი – მანუს, ამ სიტყვის ეტიმოლოგია ხომ არ იცი?
- მანუსი:** წარმოდგენა არა მაქვს.
- ბრიჯიტი:** მიდი, გააგრძელე!
- ჯიმი:** თეო – თეოს – რალაცა ღმერთთან დაკავშირებული იქნება. ან იქნებ, თეა – ქალღმერთი! როგორი ფორმისაა ეგ თეოდოლიტი?
- დოულთი:** "ფორმა" არა, ნუ სულელობ რალაცას! მოკლედ, რამდენჯერაც ამ ბოძებს ჩაასობდნენ მინაში და გზას აგრძელებდნენ, ჩუმად მივეპარებოდი და ოცი-ოცდაათი ნაბიჯით უკან ვაბრუნებდი.
- ბრიჯიტი:** ღმერთო!
- დოულთი:** გაშტერებული უყურებდნენ ამ ბოძებს, მე რე თავიანთ გამოთვლებს ჩახედავდნენ – და ისევ ბოძს უყურებდნენ და კეფას იფხანდნენ... აბა, გამოიცანით, ბოლოს რა ქნეს!
- ბრიჯიტი:** აი, ახლა მოუსმინეთ!

⁷ (ლათ.) უვიცებო, სულელებო, გლეხებო.

⁸ (ლათ) მიპასუხე, მიპასუხე!

დოულთი: ეგ ჯანდაბის მონყობილობა დაშალეს! (ინყებს დაბნეული მესანგრეების სწრაფი, გაუგებარი ლაპარაკის იმიტაციას)

ბრიჯიტი: აი, ზუსტად ეგეთები არიან!

მეირე: საამაყოდ გაქვს საქმე, დოულთი.

დოულთი: რატო?

მეირე: ძალიან ჭკვიანურად მოგიფიქრებია.

მანუსი: ჭკვიანურად მოუფიქრებია, ჭკვიანურად.

მეირე: რა მოუფიქრებია ჭკვიანურად?

მანუსი: მიანიშნა, რომ ამ მინაზე ჩვენც ვცხოვრობთ.

მეირე: ჰაჰ!

ბრიჯიტი: დაგიჭერენ, გუებნები!

(როცა დოულთი უხერხულად გრძნობს თავს, ან ნასიამოვნებია, ამას ფიზიკურად გამოხატავს. ამჯერად ბრიჯიტს ნელზე მოხვევს ხელს.)

დოულთი: ბრიჯიტ, ამას რაში გამოიყენებ? იქნებ კარაქის სადღვებად გამოგადგეს?

ბრიჯიტი: იქით გაიწი, შე ბინძურო მხეცო! დავალება მაქვს დასაწერი, სანამ დიდი ჰიუ დაბრუნებულა.

მანუსი: ნუ დაველოდებით. დავინყოთ.

(ნელა და უნდომანდოდ დაიძვრებიან თავიანთი სკამებისაკენ და დავალებების კეთებას შეუდგებიან. დოულთი წყლით სავსე ვედროსთან მიდის და ხელეებს იბანს. ბრიჯიტი ჯიბიდან სარკეს ამოიღებს და თმებს ივარცხნის.)

ბრიჯიტი: ამ დილით ნელი რუადჰის ბავშვი უნდა მოენათლათ. თქვენ ვინმემ ხო არ იცით, რა დაარქვეს? შენ ხო არ იცი, სარა?

(სარა ამოიღმუვლებს: არა.)

შენ, მეირე?

მეირე: არა.

ბრიჯიტი: შეიმასმა თქვა, თურმე ნელი იმუქრებოდა, მამამისის სახელს დავარქმევო.

დოულთი: მამა ვინაა?

ბრიჯიტი: საქმეც ეგაა, შე ვირო!

დოულთი: აჰ.

ბრიჯიტი: ჰოდა, ბევრი კურო შენუხდება დღეს ბეილი ბეგში.

- დოულთი:** წინა კვირას მითხრა, ბავშვს ჯიმი უნდა დავარქვაო.
- ბრიჯიტი:** ნუ იტყუები, დოულთი.
- დოულთი:** აბა, შენ როგორ მოგატყუებ? ბიჭო, ჯიმი, ნელი რუადჰის მამიკო გეძებს.
- ჯიმი:** მე?
- მეირე:** გეყოფა, დოულთი.
- დოულთი:** ვილაცას უთქვამს მისთვის, რომ...
- მეირე:** დოულთი!
- დოულთი:** გაუგია, რომ ჰორაციუსის “სატირების” პირველი წიგნი ზეპირად იცი...
- ჯიმი:** ეგ მართალია.
- დოულთი:** ...და თურმე უნდა, რო წაუკითხო.
- ჯიმი:** წაუკითხავ, აბა, რას ვიზამ.
- დოულთი:** გიჟდება თურმე, ისე უნდა მოსმენა.
- (ჯიმი ჯიბეში იქექება)*
- ჯიმი:** ეს ნუხელ ვიპოვე... დაგაინტერესებს... ვირგილიუსის „გეორგიკების“ მეორე წიგნში...
- დოულთი:** უხ, როგორ არა, მთლად ჩემს გულში ზიხარ რა!
- ბრიჯიტი:** მორჩი მასხარაობას! *(სარას)* ერთი წამით დამიჭირე რა. *(სარკეს აწვდის)*
- ჯიმი:** მანუს, აბა, მოუსმინე: „Nigra fere et presso pinguis sub vomere terra...”
- დოულთი:** მოიცა, მოიცა – ნუ მიერეკები, ნელა... ნუ მაჩქარებთ, ბიჭებო *(იჯღანება, ვითომ ძალიან დაფიქრდა)*
- ჯიმი:** მანუს?
- მანუსი:** “გუთნის სიმძიმის ქვეშ მინა შავი და ნაყოფიერია...”
- დოულთი:** მე რატომ არ მაცდით?
- ჯიმი:** “და თანაც, cui putre – ფხვიერი ნიადაგი ხორბლის საუკეთესო მოსავალს იძლევა.” ესეც ასე!
- დოულთი:** ესეც ასე!
- ჯიმი:** ვირგილიუსი! ა, ბატონო! მეც სულ მაგას არ გეუბნებოდით? შავი მინა ხორბლისთვისაა. ჰოდა, ზევითა მინდვრებზე კარტოფილი კი არა, ხორბალი უნდა დათესოთ.

დოულთი: ერთი ამას უსმინეთ რა! ტანის დაბანა ეზარება და მინის დამუშავებას მასწავლის აქ! მიდი ერთი, გაიარე რა! (სარას ჩაბღუჯავს) წამომყევი სარა, ხორბალი დავთესოთ ერთად.

მანუსი: გეყოფათ... გეყოფათ. დავწყნარდეთ და საქმეს მივხედოთ. ვიცი, რომ შონ ბეიგი დღეს ვერ მოვა, ორგულზე სათევზაოდაა წასული. დონელის ტყუბებზე რა იცით? (დოულთის) სკოლაში აღარ ივლიან? (დოულთი მხრებს აიჩეჩავს) ხომ არ გიკითხავს?

დოულთი: ამ დღეებში ეგენი არ მინახავს. *(დოულთი კბილებში უსტვენს. უცებ დაძაბული სიჩუმე ჩამონვება.)*

მანუსი: სახლში არ არიან?

დოულთი: არა.

მანუსი: აბა, სად არიან?

დოულთი: მე რა ვიცი.

ბრიჯიტი: ჩვენმა შეიმასმა თქვა, მეხეირე ბუიდეს კლდის ძირას ინგლისელი ჯარისკაცების ორი ცხენი იპოვესო და... *(უეცრად ჩერდება და თავის დაფაზე ცარცით წერას იწყებს)* არა, გესმით, როგორ წრიპინებს ეს ძველი დაფა? ეგეთ გადასლექილ დაფაზე როგორ უნდა წერო?

მანუსი: რა წინადადება დაგავალა მამაჩემმა?

ბრიჯიტი: "ნასწავლის გონებიდან ნაშლა უფრო იოლია, ვიდრე გახსენება."

ჯიმი: ტაციტუსის "აგრიკოლა", წიგნი მესამე.

ბრიჯიტი: მაგარი ხარ რა!

მანუსი: მერე, გამოგდის?

ბრიჯიტი: აჰა. ცუდია? ხო არ შემჭამს?

მანუსი: ძალიან კარგია. იდაყვი უფრო ახლოს გეჭიროს. დოულთი?

დოულთი: 7-ზე გამრავლების ტაბულა. ბდღვირს ვადენ, კაპიტანო.

(მანუსი სარასთან გადადის)

მანუსი: ეს მაგალითები გესმის? *(სარა თავს დაუქნევს. დიახო. მანუსი ყურთან ახლოს დაიხრება)* მე მქვია სარა.

(მანუსი მეირესთან გადადის. სანამ მეირეს ელაპარაკება, დანარჩენები წიგნებს ცვლიან, ხმადაბლა ლაპარაკობენ და ა.შ.)

მანუსი: დაგეხმარო? რა დავალება გაქვს?

მეირე: ამერიკის რუკა. *(პაუზა)* მგ ზავრობის ფული წინა პარასკევს ჩამომივიდა.

- მანუსი:** ჩემთვის არ გითქვამს.
- მეირე:** მას მერე არ მინახიხარ და იმიტომ.
- მანუსი:** წასვლა არ გინდა, თვითონ არ მითხარი?
- მეირე:** ათი ჩემზე უმცროსი დედმამიშვილი მყავს სარჩენი და ოჯახში მამკაცი არ გვყავს. შენ რას მთავაზობ?
- მანუსი:** წასვლა მართლა გინდა?
- მეირე:** ახალ საჯარო სკოლაში სამსახურზე თხოვნა შეიტანე?
- მანუსი:** არა.
- მეირე:** ხო მითხარი, შევიტანო.
- მანუსი:** შეიძლება შევიტანო-მეთქი.
- მეირე:** ეგ რო გაიხსნება, მორჩა – აქ სწავლაში არავინ გადაიხდის ფულს.
- მანუსი:** ვიცი და მე... *(ჩერდება, რადგან ამჩნევს, რომ სარა უდგას ზურგსუკან და აშკარად უსმენს. სარა გვერდით გადაგება)* ვიფიქრე, იქნებ...
- მეირე:** წელიწადში 56 ფუნტს ყრი წყალში.
- მანუსი:** ვერ შევიტან თხოვნას.
- მეირე:** ხომ დამპირდი, შევიტანო.
- მანუსი:** მამაჩემმა შეიტანა.
- მეირე:** რას ამბობ!
- მანუსი:** გუშინწინ.
- მეირე:** ღმერთო ჩემო, ხომ იცი, რომ ეგ ვერასოდეს...
- მანუსი:** არ შემიძლია – მამაჩემს ვერ გადავავტები.

(მეირე ერთი წამით მიაჩერდება. შემდეგ:)

- მეირე:** როგორც გინდა. *(ბრიჯიტს)* დილაადრიან შენი შეიმასი დავინახე, პორტისკენ მიდიოდა.
- ბრიჯიტი:** მოიცა, რა მოგიყვე – ეგ სულ გადამავინწყდა. კნოკ ნა მონასთან, ნაპრალი გადაიარა თუ არა – ზუსტად იმის უკან, სადაც ინგლისელები რუკებს აკეთებენ – თურმე რალაც ტკბილი სუნი იდგა.
- დოულთი:** ეგ ჩემთვის არ გითქვამს.
- ბრიჯიტი:** თავიდან ამომივარდა.
- დოულთი:** ხორბლის ყანები ნახა?

- ბრიჯიტი:** ჰო.
- მანუსი:** თავთავები როგორიაო?
- ბრიჯიტი:** მგონი – კარგია.
- დოულთი:** აყვავებულია?
- ბრიჯიტი:** არ ვიცი. ალბათ. არ უთქვამს.
- მანუსი:** მხოლოდ ტკბილი სუნი იდგა, მეტი არაფერი?
- ბრიჯიტი:** ამბობენ, ეგრე იცის წამოპარვაო. ჯერ სუნი დგება და მერე უცებ ერთ დილით ღეროები შავდება და ხმება.
- დოულთი:** რა თავს ისულელებთ?! დამპალ ღეროებს ასდის ტკბილი სუნი. ეგაა, მაგის სუნია – დამპალი ღეროების.
- მეირე:** ტკბილი სუნი! ტკბილი სუნი! ეგრე ყოველ წელს გამოჩნდება ხოლმე ვინმე, ვინც მაგ ტკბილი სუნის ამბავს ყვება. ღმერთო დიდებულო, როდის ყოფილა, ბეილი ბეგში კარტოფილის მოსავალი გაფუჭებულიყოს? არა, როდის ყოფილა-მეთქი? არასოდეს! არასოდეს ჭირი არ მოსდებია აქაურობას. არასოდეს. არასოდეს. მაგრამ ჩვენ მაინც გვეჩვენება რალაცა სუნები – უბედურებას ვეძებთ. გადასახადები გაიზრდება... მოსავალს დავკარგავთ... ჩვენს ზღვებში ქაშაყი სამუდამოდ განყდება... აქედან გაგვასახლებენ. ღმერთო დიდებულო, ასე მგონია, ზოგიერთები თავს მხოლოდ მაშინ გრძნობენ ბედნიერად, როცა უჭირთ და სანამ არ დაიხოცებიან, არაფერი არ აკმაყოფილებთ!
- დოულთი:** მართალს ამბობ, მეირე. ხო გახსოვთ, წმინდა კოლმილისის წინასწარმეტყველება, აქაურობას ჭირი არ ემუქრებაო? როგორ თქვა:
 "ჩვენს მხარეში მანამ არ განყდება პური,
 სანამ კურდღელს ცხვირზე ამოუვა ყური."
 ჰოდა, ეგ ხო არასოდეს მოხდება. მოკლედ, კარგად გვაქვს საქმე. შვიდჯერ სამი – ოცდაერთი; შვიდჯერ ოთხი არის ოცდარვა; შვიდჯერ ხუთი არის ორმოცდაცხრა... ეი, ჯიმი, როგორ ფიქრობ, ახალი საჯარო სკოლის დირექტორად ვივარგებ?
- ჯიმი:** რაო? რა თქვი?
- დოულთი:** კაი ჰო, მიდი, შვილო, სახლს დაუბრუნდი, საბერძნეთში.
- მეირე:** განცხადება უნდა შეიტანო, დოულთი.
- დოულთი:** შენ ეგრე გგონია? ჯანდაბას, შეიძლება მართლაც შევიტანო. ჰაჰა!
- ბრიჯიტი:** იცოდით, რომ თურმე ექვსი წლის ასაკში შედიხარ სკოლაში და სანამ თორმეტის მაინც არ გახდები, მანდ უნდა დარჩე? – მიუხედავად იმისა, იცი რამე, თუ არ იცი, ჭკვიანი ხარ თუ სულელი.

დოულთი: ეგ სისულელე ვინ გითხრა?

ბრიჯიტი: და თურმე ყველა ოჯახიდან, ყველა ბავშვმა უნდა იაროს, ყოველდღე, ზამთარშიც და ზაფხულშიც. ასეთი ყოფილა კანონი.

დოულთი: იცი, რას გეტყვი – მაგათ ახლოსაც არავინ გაეკარება; ეგენი ვერ გვაჯობებენ, გინდა კანონი უძახე და გინდა უკანონობა.

ბრიჯიტი: თან თურმე ყველაფერი უფასოა. არაფრის ფულს არ იხდი, სახელმძღვანელოების გარდა; ჩვენმა შეიმასმა თქვა.

დოულთი: "ჩვენმა შეიმასმა". ხო, შენი შეიმასი ისედაც არაფერს არ გადაიხდიდა. გვიყვები აქ რალაც ზღაპრებს.

ბრიჯიტი: ეგრე არ არის, მანუს?

მანუსი: ჰო, მგონი ეგრეა.

ბრიჯიტი: და თანაც, თურმე მისვლის პირველივე დღიდან ირლანდიურად ვერცერთ სიტყვას ვერ იტყვი. ინგლისურად ლაპარაკს გასწავლიან და ყველა საგანს ინგლისურად ისწავლი და ბოლოს ისე კარგად გეცოდინება ენა, როგორც გაღმა სოფელში იციან.

(სარა უცებ დაიღმუფლებს, ანიშნებს ყველას, რომ დირექტორი მოდის. განწყობა იცვლება. უეცრად ყველანი საქმიანები ხდებიან. თავებს ჩახრიან.)

დოულთი: მოვიდა, ბიჭებო. ჯანდაბა, ახლა დედას მიტირებს ამ ტაბულის გამო.

ბრიჯიტი: მანუს, ზედმეტი ცარცი ხომ არა გაქვს?

მეირე: და ატლასიც, ჩემთვის.

(დოულთი გადადის მეირესთან, რომელიც უკანა რიგში, უზურგო სკამზე ზის.)

დოულთი: ადგილი გამიცვალე.

მეირე: რატომ?

დოულთი: ვუნდერკინდის გვერდით ცარიელი ადგილია.

მეირე: მე აქ მომწონს.

დოულთი: გთხოვ, მეირე. უკანა რიგში მინდა ჩემთვის ღლაბუცი. *(მეირე დგება)* შენ გაიხარე. *(ხმამალლა)* ვინმეს ის წყეული გამრავლების ტაბულა ხო არა გაქვთ? აი, სად ვილუპები! *(სარა აწვდის ტაბულას)* უჰ, ვგიჟდები შენზე.

(დოულთი ჩქარობს, უკანა რიგში ადგილის დასაკავებლად. სიჩქარეში დაეჯახება ბრიჯიტს, რომელიც მუხლებზე დამდგარა, დაფა სკამზე შემოუდგამს და ზედ რალაცას გულმოდგინედ წერს)

ბრიჯიტი: თვალეში ვერ იყურები, დოულთი?!

(დოულთი ხუმრობით თითს ატაკებს გვერდში. ბრიჯიტი წამოიკივლებს.)

კვლავ საქმიანი, ჩუმი დუდუნია: ჯიმი დაბალ ხმაზე კითხულობს ჰომეროსს; ბრიჯიტი თავის დავალებას ათეთრებს; მეირე ატლასს სწავლობს; დოულთის თვალები მაგრად დაუხუჭავს და ტაბულას იმეორებს; სარას მაგალითები გამოჰყავს. რამდენიმე წამში:)

ბრიჯიტი: მანუს, ეს “გ” სწორად დავწერე? კუდი როგორ უნდა გამოვაბა?

დოულთი: გაჩუმდი რა! ყურადღება მეფანტება!

(კიდევ რამდენიმე წამს გრძელდება მუშაობა. შემდეგ დოულთი თვალებს ახელს და მიმოიხედავს.)

დოულთი: ცრუ განგაშია, ბიჭებო! არ მოდის ეგ ლოთი. ეტყობა, ისეა გამომტყვერალი, ფეხზე ვერ დგას.

(სწორედ ამ დროს შემოდის ჰიუ. მაღალი კაცი, ჯერ კიდევ შერჩენილი ღირსებით, ღარიბულად ჩაცმული, ხელში ჯოხი უჭირავს. როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ბევრი დაუღევია, თუმცა, არავითარ შემთხვევაში არ ეთქმის მთვრალი. სამოცს ოდნავ გადაცილებულია.)

ჰიუ: Adsum⁹, დოულთი, adsum. შესაძლოა, არც თუ მთლად sobrietate perfecta¹⁰, მაგრამ საკმარისად sobrius¹¹ ვარ და გავიგონე, როგორ მამკობდი. მიმწუხრის სალუტს გიძღვნიტ ყველას.

(სხვადასხვაგვარად პასუხობენ)

ჯიმი: Ave¹², ჰიუ.

ჰიუ: ჯეიმს. (ქუდსა და პალტოს იხდის და ჯოხთან ერთად მანუსს აწვდის, თითქოს მისი ლაქია იყოს). ბოდიში მომითხოვია დაგვიანებით გამოცხადებისათვის, ნელა რუადჰის ბავშვის ბაპტიზმს, ანუ ნათლობას ვზეიმობდით.

ბრიჯიტი: (გულუბრყვილოდ) სახელად რა დაარქვეს, მასწავლებლო?

ჰიუ: თუ არ ვცდები, ეიმონი. ჰო, ეიმონი.

ბრიჯიტი: ეიმონ დონალი თორიდან! ჯანდაბა!

ჰიუ: და caerimonia nominationis¹³ შემდეგ – აბა, მეირე?

მეირე: სახელდების რიტუალი.

ჰიუ: სწორია – შემდეგ ცოტაოდენი ღვთაებრივი სითხე მივიღეთ ამ მოვლენის აღსანიშნავად. ფრიად სასიამოვნო იყო. საიდან წარმოსდგება სიტყვა “ბაპტიზმი” – სად არიან ჩემი ბერძნულის სპეციალისტები? დოულთი?

დოულთი: ალბათ... ისა... იქიდან...

⁹ (ლათ.) აქ ვარ.

¹⁰ (ლათ.) სრულყოფილად ფხიზელი.

¹¹ (ლათ.) ფხიზელი.

¹² (ლათ.) სალამი.

¹³ (ლათ.) სახელდების ცერემონია.

- ჰიუ:** ძალიან აგვიანებ. ჯეიმს?
- ჯიმი:** “baptizein” – ნყალში ჩაშვება, ან ჩაძირვა.
- ჰიუ:** სწორია – როგორ ჩვენი მეგობარი, პლინიუს უმცროსი ამბობს, “ბაპტისტერიუმ” – ანუ, ცივი აბაზანა.
- დოულთი:** მასწავლებლო.
- ჰიუ:** გისმენ, დოულთი.
- დოულთი:** ესე იგი, გამოდის, რომ როცა ცხვარს ტილების მოსაშორებელ სითხეში აბანავებენ, ეგეც ნათლობაა?

(სიცილი. კომენტარები.)

- ჰიუ:** ეგეც ნათლობაა, პრეცედენტიც გვაქვს – შენც ხომ მოგნათლეს. შვიდჯერ ცხრა?
- დოულთი:** ბატონო, მასწავლებლო?
- ჰიუ:** შვიდი გამრავლებული ცხრაზე-მეთქი.
- დოულთი:** შვიდჯერ ცხრა... შვიდრეჯ ცხრა.. შვიდჯერ ცხრა... შვიდჯერ ცხრა იქნება... ჯანდაბა, ენის წვერზე მადგას, მასწავლებლო... ამ დილით ნამდვილად ვიცოდი... რა უცნაურია, მაინცდამაინც ეგ მავინყდება ხოლმე...
- ბრიჯიტი:** (კარნახობს) სამოცდასამი.
- დოულთი:** რა მეტაკა, არ ვიცი, შვიდჯერ ცხრა არის, რა თქმა უნდა, ორმოცდასამი, მასწავლებლო.
- ჰიუ:** კოლონოსელი სოფოკლე დაგეთანხმებოდა: ”ტკბილია ცხოვრება, როდესაც არაფერი იცი.” შონ ბეიგი სად ბრძანდება?
- მანუსი:** ორაგულზე სათევზაოდ.
- ჰიუ:** და ნორა დენი?
- მეირე:** შემოგივალათ, ან სკოლაში აღარ ვივლიო.
- ჰიუ:** ჰო, ნორა დენმა საკუთარი სახელის წერა ისწავლა, ესე იგი, ნორა დენის განათლება დასრულებულია. და დონელის ტყუპები?

(მცირე პაუზის შემდეგ)

- ბრიჯიტი:** ალბათ, ტორფს ამუშავებენ. *(ჰიუს მიუახლოვდება)* წინა კვარტლის არითმეტიკისათვის თქვენი ერთი ფუნტი და რვა პენსი მმართვეს და აი, კიდევ ფუნტი და ექვსი პენსი მართლწერის გაკვეთილებისთვის.

ჰიუ: Gratias tibi ago¹⁴. (მაგიდასთან ჩამოჯდება) სანამ ჩვენს შტუდირებას შევუდგებოდეთ, სამი ერთეული სიახლე უნდა გაცნობოთ... (მანუსს) ფინჯანი ჩაი, თუ შეიძლება, მაგარი, შავი ჩაი... (მანუსი გადის) პირველი ერთეული: დღეს, ჩემი პერამბულაციების დროს... აბა, ბრიჯიტ? აგვიანებ. მეირე?

მეირე: Perambulare – სეირნობა.

ჰიუ: სწორია... შემომხვდა კაპიტანი ლენსი, სამეფო საინჟინრო პოლკიდან, რომელიც ჩვენი მხარის რუკებს ადგენს. მითხრა, რომ რამდენიმე ცხენი და მონყობილობების ნაწილი დაუკარგავთ. მე გამოვთქვი ღრმა მწუხარება და შევთავაზე, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით თქვენთვის მოემართა. მან ამიხსნა, რომ არ იცის ირლანდიური ენა. "ლათინური-მეთქი?" – ვკითხე. არაო. "ბერძნული?" – არცერთი სიტყვაო. როგორც თავად განმარტა, ფლობს მხოლოდ ინგლისურ ენას და მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ გარემოების შესატყვისად ვერეკუნდ აღმოჩნდა... აბა, ჯეიმს?

ჯიმი: Verecundus – მოკრძალებული.

ჰიუ: სწორია... მან ასევე გამოხატა ერთგვარი გაკვირვება, როგორ თუ მის ენაზე არ ვლაპარაკობთ. მე განვუმარტე, რომ ზოგიერთი ჩვენგანი ლაპარაკობს, იშვიათად – ჩვენი დასახლების საზღვრებს მიღმა, ცხადია, - როცა საქმე ეხება ვაჭრობას, და მისი ენა ვაჭრობისთვის ფრიად ზედგამოჭრილია .. (გასძახებს) პურის ნაჭერიც წამოაყოლე... შემდგომ კი ისიც დავძინე, რომ ჩვენი ადგილობრივი კულტურა და კლასიკური ენები გაცილებით ბედნიერად კონიუგირებდნენ... დოულთი?

დოულთი: Conjugo – შერწყმა, შეერთება, ვაერთებ. (დოულთი ისეთი კმაყოფილია საკუთარი თავით, რომ ბრიჯიტს მუჯღუგუნს გაჰკრავს და თვალს ჩაუკრავს).

ჰიუ: სწორია... ინგლისური ენა, ჩემი ვარაუდით, შესაფერისად ვერ გამოხატავს-მეთქი ჩვენს რაობას. და კვლავ, მისდა სასახელოდ უნდა ითქვას, ჩემი ლოგიკა მისთვის აკვიესცირებული აღმოჩნდა. აბა, მეირე?

(მეირე მოთმინებადაკარგული გაიხედავს გვერდით. ჰიუ ამას ვერ ამჩნევს)

ძალიან აგვიანებ. ბრიჯიტ?

ბრიჯიტ: Acquiesco¹⁵.

ჰიუ: Procede¹⁶.

ბრიჯიტ: Acquiesco, acquiescere, acquievi, acquientum.

ჰიუ: სწორია... და მეორე ერთეული...

მეირე: მასწავლებლო.

¹⁴ (ლათ.) მადლობას მოგახსენებ.

¹⁵ (ლათ.) მიღება, გათავისება.

¹⁶ (ლათ.) განაგრძე.

ჰიუ: დიახ?

(მეორე ცოტა უხერხულად, მაგრამ დაბეჯითებით წამოდგება. პაუზა)

ჰიუ: გისმენ, გოგონა.

მეირე: ყველას გვჭირდება ინგლისური ენის სწავლა. დედაჩემი ამბობს ეგრე. მეც ასე მგონია. დენ ო'კონელმაც ეგრე თქვა წინა თვეს, ენისში. ასე თქვა, რაც მალე ვისწავლით ყველანი ინგლისურს, მით უკეთესიო.

(უეცრად ყველანი ერთად ალაპარაკდებიან)

ჯიმი: რაო, რა თქვა? რაო, რაო?

დოულთი: ხმების შესაგროვებლად რო დაეთრევა, მაშინ ხო კარგად ლაპარაკობს ირლანდიურად?

ბრიჯიტი: და გათხოვილ ქალებთან რო დაძვრება. მაგ კაცს ვერცერთი ქალი ვერ გადაურჩება.

მეირე: აი, ზუსტად ამ სიტყვებით თქვა: „ძველი ენა თანამედროვე პროგრესს ხელს უშლისო“. წინა თვეს უთქვამს ეს სიტყვები. არ მინდა ბერძნული. არც ლათინური მინდა. ინგლისური მინდა.

(კიბის უჯერდზე მანუსი გამოჩნდება)

ინგლისურად ლაპარაკის სწავლა მინდა, იმიტომ, რომ როგორც კი მოსავალს დავაბინავებთ, ამერიკაში მივდივარ.

(მეორე აღარ ჯდება. ჰიუ ჯიბეში ჩაიყოფს ხელს და იქიდან ვისკის ბოთლს ამოიღებს. თავსახურს მოხსნის, შიგ სასმელს ჩაასხამს, გადაკრავს, თავსახურს ისევ ახურავს და ბოთლს ჯიბეში იღებს. შემდეგ:)

ჰიუ: ცოტა გადავუხვიეთ ... diverto – divertere¹⁷... სად გავჩერდით?

დოულთი: სიახლეების სამი ერთეულიო, მასწავლებლო. მეორე ერთეულზე გავჩერდით.

ჰიუ: სწორია... მეორე ერთეული... მეორე ერთეული... ამ დილით, სანამ ნათლობაზე მივდიოდი, შემთხვევით გადავეყარე ბატონ ჯორჯ ალექსანდერს, ჩვენს მოსამართლეს. ახალი საჯარო სკოლის საკითხი განვიხილეთ. ბატონმა ალექსანდერმა შემომთავაზა, თქვენ უხელმძღვანელებთ, როცა გაიხსნებაო. მადლობა გადავუხადე და განვუმარტე, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში დავთანხმდებოდი, თუკი ნებას დამრთავდნენ, ისევე თავისუფლად მემართა ახალი სკოლა, როგორც ჩვენსას ვმართავ აგერ უკვე ოცდათხუთმეტი წელია, და როგორც ჩვენი მეგობარი ევრიპიდე ამბობს, გამუდმებით ვავსებ „aplestos pithos“-ს. აბა, ჯეიმს?

ჯიმი: „საწყაული აღუვსებელი“.

¹⁷ (ლათ.) გადავუხვიე... გადახვივა.

ჰიუ: სწორია... და ბატონმა ალექსანდერმა თავაზიანად და დაბეჯითებით მომიგო, რომ ყველაფერი სწორედ ასე იქნებაო.

(მეორე ამჯერად ჯდება.)

ჰიუ: დიას. დღეს ფრიად სამძიმო დღე მქონდა და ყველამ გადამლაღეთ. *(დგება)*
მანუსი მოგხედავთ. *(ჰიუ კიბისკენ გაემართება.)*

(შემოდის ოუენი. ოუენი ჰიუს უმცროსი ვაჟია, სიმპათიური, მიმზიდველი ახალგაზრდა კაცი, ოცს გადაცილებული. გემოვნებით აცვია – ქალაქელი კაცივით. თავი ლაღად და მომხიბლავად უჭირავს: რასაც უნდა აკეთებდეს, ყველაფერში გულისხმიერება და ენთუზიამი ჩანს. ახლა კარის ჩარჩოში დგას, მხარზე სამოგზაურო ჩანთა გადაუკიდებია.)

ოუენი: ჰიუ მორ ო'დონელის სკოლის გზას ხომ ვერ მიმასწავლის ვინმე?

დოულთი: ეს ხო ოუენია – ოუენ ჰიუ! ბიჭებო, შეხედეთ – ოუენ ჰიუ მოსულა!

(ოუენი ოთახში შემოაბიჯებს. გზადაგზა ყველას ეხება და ესალმება.)

ოუენი: დოულთი! *(მეგობრულად შემოჰკრავს)* როგორ ხარ, ბიჭო? *Jacobe, quid agis?*¹⁸ ხომ ხარ ჯანზე?

ჯიმი: გადასარევად. გადასარევად.

ოუენი: აი, ბრიჯიტიც! აბა, კოცნა მაჩუქე! ააააჰ!

ბრიჯიტი: გამიხარდა შენი ჩამოსვლა, ოუენ.

ოუენი: მოიცა, ნუთუ...? ჰო, ეს ხომ მეორე ატახია! ღმერთო! რა ქალი დამდგარა!

მეირე: როგორ ხარ, ოუენ?

(ოუენი უკვე ჰიუს პირისპირ დგას. ორივე ხელს მამას მხრებზე შემოაწყობს.)

ოუენი: და თვით მხცოვანი ბატონი როგორ ვიკითხოთ?

ჰიუ: არა მიშავს. არა მიშავს.

ოუენი: არა გიშავს? რას ამბობ, ასე შესანიშნავად არც არასოდეს გამოიყურებოდი! მოდი ჩემთან. *(ჰიუს თბილად და გულწრფელად ეხვევა)* როგორ მიხარია შენი ნახვა, მამა. რა კარგია, რომ დავბრუნდი.

(ჰიუს თვალები უწყლიანდება – ნაწილობრივ სიხარულისგან, ნაწილობრივ კი – სასმელისგან.)

ჰიუ: მე... მე... მე... ყურადღებას ნუ მომაქცევ...

ოუენი: მიდი.. მიდი, ჰო, მიდი... *(ჰიუს თავის ცხვირსახოცს გაუნვდის)*. იცი, მე და შენ ამაღამ რას ვიზამთ? ავიდეთ ანა ნა მგრეიგთან...

დოულთი: მანდ არა, ოუენ.

¹⁸ (ლათ.) ჯეიმს, როგორ ხარ? (იაკობე - ჯეიმსის შესატყვისი ლათინური ფორმა)

ოუენი: რატომ?

დოულთი: ძალიან გააფუჭა მაგან პოტიინი.

ბრიჯიტი: ამბობენ, შიგნით ბაყაყებს ყრისო!

ოუენი: მთლად უკეთესი! (ჰიუს) ერთი მაგრად უნდა გავილეშოთ მე და შენ. გადანყვეტილი ამბავია. *(ოუენი დაინახავს მანუსს, რომელიც ფინჯანი ჩაითა და პურის ნაჭრით ხელში კიბეზე ჩამოდის. კიბის ძირას შეხვდებიან ერთმანეთს)* მანუსიც აქ ყოფილა!

მანუსი: გამიხარდა შენი ჩამოსვლა, ოუენ.

ოუენი: ვიცი, რომ გაგიხარდა. მეც მიხარია აქ ყოფნა. *(შემოტრიალდება და მკლავებს გაშლის)*. არც კი მჯერა. ექვსი წლის შემდეგ დავბრუნდი და ყველაფერი ისევ ისეა! არაფერი არ შეცვლილა! ოდნავადაც კი! *(ჰაერს დაყნოსავს)*. სუნიც კი იგივეა – აქ სულ ასეთი სუნი იდგა. ჰო მართლა, რისი სუნია? ჩალის?

დოულთი: ჯიმი ჯეკის ფეხების.

(ყველანი იცინიან, რაც ოთახში პატარ-პატარა საუბრებს აქეზებს).

ოუენი: და დოულთი დენ დოულთიც სულ არ შეცვლილა!

დოულთი: ეგრეა, ჰო, ოუენ.

ოუენი: ჯიმი, კარგად ხარ?

ჯიმი: ვცოცხლობ რა.

ოუენი: რამე სიახლე ხომ არა გაქვს იმ ამბავში?

(ამ სიტყვებს "აჰ"-ები და "ოჰ"-ები მოჰყვება)

ოუენი: რა გეჩქარება, ჯიმი. ჰომეროსთან ცხოვრება უფრო ადვილია, არა?

მეირე: შენზე ამბობენ, დუბლინში ათი დიდი მაღაზია აქვსო, მართალია?

ოუენი: მხოლოდ ცხრა.

ბრიჯიტი: და კიდევ თორმეტი ცხენი და ექვსი მსახური ჰყავსო.

ოუენი: ეგ მართალია. ღმერთო დიდებულო, ამათ უყურე ერთი – ჩემი მასხრად აგდება მოუნდომებიათ!

მანუსი: როდის ჩამოხვედი?

ოუენი: გუშინ დილით ნამოვედით დუბლინიდან, ნუხელ ომახში გავჩერდით და ნახევარი საათია, რაც ჩამოვედი.

მანუსი: მოშიებული იქნები.

ჰიუ: სწორია ... საჭმელი მოუტანე და... სასმელიც.

- ოუენი:** ახლა არ მინდა, გმადლობთ. ცოტა მოგვიანებით. მოიცა – გაკვეთილი ხომ არ შეგანწყვეტინეთ? ხელს გიშლით?
- ჰიუ:** არავითარ შემთხვევაში. დღეს უკვე მორჩა მეცადინეობა.
- ოუენი:** მშვენიერია. და გეტყვით რატომაც: ჩემი ორი მეგობარი მელოდება გარეთ. თქვენი გაცნობა უნდათ და მეც მინდა, რომ გაგაცნოთ. შეიძლება, შემოვიყვანო?
- ჰიუ:** ცხადია. ყველას ერთად გასაძლიებთ და...
- ოუენი:** ჯერ არა, მამა. ბოლო ორი კვირაა აქ ჯარისკაცები მუშაობენ, ხომ გინახავთ, არა? ჰოდა, უფროსი კაცი კაპიტანი ლენსი...
- ჰიუ:** ვიცნობ კაპიტან ლენსის.
- ოუენი:** გადასარეგია. ჰოდა, ლენსი კარტოგრაფია, რომელსაც ჩვენი მხარე აბარია. კარტოგრაფი – აბა, ჯეიმს?

(ოუენი იწყებს თამაშს, მამამისის თამაშს, ნაწილობრივ იმიტომ, რომ კლასი ჩართოს ამბავში, ნაწილობრივ კი, იმის საჩვენებლად, რომ არ დაეინყნია – და თანაც, მართლა სიამოვნებს კიდევ.)

- ჯიმი:** რუკების შემდგენელი.
- ოუენი:** სწორია... და მეორე სტუმარი ახალგაზრდა კაცია, ლეიტენანტი იოლანდი, ვისთანაც ერთად დუბლინიდან ვიმგზავრე – ტოპონიმიკის განყოფილების ხელმძღვანელი... მამა? Responde... responde!
- ჰიუ:** ანუ, ადგილებს სახელებს არქმევს.
- ოუენი:** სწორია... თუმცა, სინამდვილეში პროფესიით ორთოგრაფია.. დოულთი? ძალიან აგვიანებ... მანუს?
- მანუსი:** ანუ, მაგ დასახელებათა მართლწერა ევალეზა.
- ოუენი:** სწორია... სწორია! *(ოუენი იცინის და ტაშს შემოკრავს. ზოგიერთები უერთდებიან)* მშვენიერია! მშვენიერია! ღმერთს გეფიცებით, როგორ მიხარია, რომ ისევ დაგბრუნდით თქვენ – "ცივილიზებულ" ადამიანებს. მოკლედ... შეიძლება, შემოვიყვანო?
- ჰიუ:** შენი მეგობრები ჩვენი მეგობრები არიან.
- ოუენი:** ახლავე დავბრუნდები. *(სანამ ოუენი კარისკენ მიდის, აქა-იქ ჩურჩულებენ. ოუენი სარასთან შეჩერდება.)* ეს სახე არ მეცნობა. შენ ვინა ხარ?

(მცირედი ყოყმანის შემდეგ)

- სარა:** მე მქვია სარა.
- ოუენი:** და გვარი?
- სარა:** სარა ჯონი სალი.

ოუენი: რა თქმა უნდა! ბუნ ნა ჰაბჰანიდან! მე ოუენი ვარ – ოუენ ჰიუ მორი, ბეილი ბეგიდან. სასიამოვნოა.

(სანამ სარა და ოუენი ლაპარაკობენ, პარალელურად)

ჰიუ: აბა, მიხედეთ აქაურობას, ცოტა მოანესრიგეთ. *(სახელოთი გადანმენდს მაგიდის ზედაპირს)* გაინძერი, დოულთი, ნიგნები აალაგე იატაკიდან.

დოულთი: დიას, მასწავლებლო, რა თქმა უნდა, მასწავლებლო; ხო ხედავთ, თავს არ ვზოგავ, მასწავლებლო.

(ოუენი კართან შეჩერდება)

ოუენი: ერთი რალაც უნდა გითხრა, მამა.

ჰიუ: Silentium!

ოუენი: მე ამათთან ვმსახურობ.

(სარა თავისი წარმატებით გახარებული, მიეჭრება მანუსს)

სარა: ვუთხარი, მანუს!

(მანუსი არ აქცევს ყურადღებას. ახლა ოუენი უფრო აინტერესებს)

მანუსი: ჯარში მსახურობ, თუ...?

(სარა მოსცილდება)

ოუენი: მე და ჯარი? ნახევარ განაკვეთზე ამიყვანეს, პატარა ხელფასით, სამოქალაქო თარჯიმნად. ჩემი მოვალეობაა, თავაკნარა, სამეფო ინგლისურზე ვთარგმნო ხოლმე ეგ თქვენი მოძველებული, არქაული ენა, რომელზედაც მაინც ჯიუტად ლაპარაკობთ. (გადის)

ჰიუ: გაინძერით – ცოცხლად, ცოცხლად! ცოტა მოანესრიგეთ აქაურობა! მიდი, სარა, ვედრო გადამალე. ეს დაფები ვისია? ვინმემ თეფშები აალაგოს! Festinate! Festinate!¹⁹ (კიდევ ჩამოისხამს სასმელს)

(მანუსი უახლოვდება მეირეს, რომელიც რალაცას წმენდს)

მანუსი: რატომ არ მითხარი, რომ წასვლა საბოლოოდ გადაწყვიტე.

მეირე: ახლა არაა ამის დრო.

ჰიუ: ყოჩაღ, ბირჯიტ. აი, ეს უკვე სულ სხვაა!

მანუსი: არ შეგეძლო, გეთქვა მაინც?

ჰიუ: ეს ნიგნები შენია, ჯეიმს?

ჯიმი: გმადლობთ.

¹⁹ (ლათ.) იჩქარეთ!

მანუსი: კარგი, ჰო, კარგი! მიდი! მიდი!

მეირე: ცოლობაზე მელაპარაკები და თავზე სახურავი არა გაქვს და არც ფეხქვეშ მინის ნაგლეჯი. გეუბნებოდი, იქნებ ახალ სკოლაში გემუშავა, მაგრამ არა – “მამაჩემს ვერ გადავხატებო”. ჰოდა, ახლა მიუღია მამაშენს ეგ სამსახური და შენ იჯექი ეგრე.

მანუსი: მე ყოველთვის შემოიძლია...

მეირე: რა შეგიძლია? ძროხებს ბერძნულ-ლათინურს? ახ....

(მეირე გაეცლება მანუსს. შემოდის ოუენი ლენსისთან და იოლანდთან ერთად. კაპიტანი ლენსი საშუალო ასაკის, ტანდაბალი, მკვირცხლი ოფიცერია, კარტოგრაფიის ექსპერტია, მაგრამ ადამიანებთან ურთიერთობა უჭირს – განსაკუთრებით სამოქალაქო პირებთან, და კიდევ უფრო – უცხოელ სამოქალაქო პირებთან. მისი უნარები საქმეში მულავენდება და არა - სიტყვებში.

ლეიტენანტი იოლანდი ოცდაათ წლამდე ასაკის, გამხდარი კაცია, აჩეჩილი ქერა თმა აქვს, მორცხვია და თავი უხერხულად უჭირავს. ჯარისკაცი შემთხვევით გახდა.)

ოუენი: აი, ჩვენც მოვედით. კაპიტანი ლენსი – მამაჩემი.

ლენსი: სალამო მშვიდობისა.

(ჰიუ სტუმრებს გულისხმიერად, დიდი ცერემონიით ექცევა)

ჰიუ: ჩვენ უკვე ვიცნობთ ერთმანეთს, სერ.

ლენსი: დიახ.

ოუენი: და ლეიტენანტი იოლანდი – ორივენი სამეფო პოლკის ინჟინრები გახლავან. ეს კი მამაჩემია.

ჰიუ: კეთილი იყოს თქვენი მოზრდნება, ჯენტლმენებო.

იოლანდი: მოხარული ვარ.

ჰიუ: Gaudeo vos hic adesse²⁰.

ოუენი: მორჩა, მეტს აღარავის წარგიდგენთ, უბრალოდ, ვიტყვი, რომ რომ ესენი არიან ბეილი ბეგის მაცხოვრებლები და კიდევ... რა? ... ჰო, ამჯერად საუკეთესო ირლანდილებთან იმყოფებით. (შეჩერდება, რათა ლენსის სიტყვის თქმა აცალოს, მაგრამ ლენსი არაფერს ამბობს) კაპიტანო, რაიმეს ხომ არ გვეტყოდით?

ჰიუ: ხომ არ გადაჰკრავდით, სერ?

ლენსი: რა ბრძანეთ?

ჰიუ: მცირედ გამამხნევებელს ხომ არ ინებებთ-მეთქი? გაგვისინჯეთ ჩვენი aqua vitae.

ლენსი: არა, არა.

²⁰ (ლათ.) კეთილი იყოს თქვენი აქ მოსვლა.

ჰიუ: იქნებ, მოგვიანებით, როცა...

ლენსი: თუ ნებას დამრთავთ, მე ვიტყვი სათქმელს, თან შევეცდები, მოკლედ ვთქვა. ამათ ინგლისური საერთოდ არ იციან, როულანდ?

ოუენი: ნუ ღელავთ, მე ვუთარგმნი.

ლენსი: გასაგებია. *(ყელს ჩაინმენდს. ისე ლაპარაკობს, თითქოს ბავშვებს მიმართავდეს – ოდნავ ხმამაღლა და უაღრესად გამომსახველად).* თქვენ ალბათ, დამინახეთ – დამინახეთ მე – ამ მხარეში როგორ ვმუშაობდი. ვმუშაობდი – ამ მხარეში. ჩვენ ვიმყოფებით აქ – აქ – ანუ, ამ ადგილას, - გესმით ჩემი? – რათა შევადგინოთ რუკა – რუკა – რუკა და...

ჯიმი: Nonne Latine loquitur? ²¹

(ჰიუ ხელის აწევით აჩერებს)

ჰიუ: ჯეიმს.

ლენსი: (ჯიმის) ირლანდიური არ ვიცი, სერ. *(გადახედავს ოუენს)*

ოუენი: განაგრძეთ.

ლენსი: რუკა არის ქალაქებზე დატანილი – სურათი – სურათი ხომ გესმით? – ქალაქებზე დატანილი სურათი – რომელიც ასახავს ამ ქვეყანას – გესმით, ხო? – მცირე მასშტაბში აჩვენებს თქვენს ქვეყანას – შემცირებული მასშტაბით დახატული, ქალაქებზე რომ... რომ... რომ...

(უცებ დოულთი ჩაიციანებს. შემდეგ ბრიჯიტი. შემდეგ სარა. ოუენი სასწრაფოდ ჩაერთვება)

ოუენი: აჯობებს, ისე ილაპარაკო, თითქოს ესმით.

ლენსი: ჰო?

ოუენი: და მე ბოლოს ვთარგმნი.

ლენსი: გასაგებია. კარგი. ეგრე იყოს. ალბათ, ეგრე აჯობებს. მოკლედ, აი, რას ვსაქმიანობთ ჩვენ... *(გადახედავს ოუენს, რომელიც თანხმობის ნიშად თავს უქნევს)* მისი უდიდებულესობის მთავრობამ გასცა ბრძანება, ჩატარდეს მთელი ქვეყნის ტერიტორიის პირველი ამომწურავი გამოკვლევა – ზოგადი ტრიგონომეტრიული აზომვა, რომელიც მოიცავს დეტალურ ჰიდროგრაფიულ და ტიპოგრაფიულ ინფორმაციას, რომელიც შესრულდება მასშტაბით ექვსი ფუტი ერთ მილთან შეფარდებაში.

ჰიუ: *(დაისხამს სასმელს)* ბრწყინვალეა... ბრწყინვალე.

(ლენსი ოუენს შეხედავს)

ოუენი: მთელი ქვეყნის ტერიტორიის ახალი რუკა კეთდება.

²¹ (ლათ.) ლათინურად ვერ ლაპარაკობს?

(ლენსი ოუენს გადახედავს, სულ ეს იყო? ოუენი თანხმობის ნიშნად გაუღიმებს და ანიშნებს, განაგრძეო)

- ლენსი:** ეს გრანდიოზული წამონწყება მიზნად ისახავს, სამხედრო მმართველობას მიაწოდოს თანამედროვე, განახლებული და ზუსტი ინფორმაცია იმპერიის ყოველი კუთხე-კუნჭულის შესახებ.
- ოუენი:** სამუშაოს ჯარისკაცები შეასრულებენ, რადგან ამ საქმეში განაფულები არიან.
- ლენსი:** ამ სამუშაოს მეორე მიზანია, ხელახლა აღინეროს მინები და შეიქმნას უფრო სამართლიანი გადასახადების სისტემა.
- ოუენი:** ეს ახალი რუკა ჩაანაცვლებს მინათმფლობელთა სააგენტოს ძველ რუკას და ამერიიდან ზუსტად გეცოდინებათ, კანონიერად რა საკუთრებას ფლობთ.
- ლენსი:** და ბოლოს, ნაგიკითხავთ ორ ნაწყვეტს “თეთრი წიგნიდან”, რომელიც ჩვენი სახელმძღვანელო დოკუმენტია: (*კითხულობს*) “ირლანდიის მინების ყოველი აქამდე არსებული აღწერის შედეგად მოხდა კონფისკაციები და საკუთრების ძალადობრივი გზით გადაცემა; ამჟამინდელი აღწერა კი მიზნად ისახავს, გადასახადების სამართლიანი სისტემის შექმნას როგორც მინათმფლობელთა, ასევე არენდატორთათვის.”
- ოუენი:** კაპიტანს იმედი აქვს, რომ საზოგადოება დაეხმარება ჯარისკაცებს და ახალი რუკის შექმნის შემდეგ გადასახადები შემცირდება.
- ჰიუ:** ღირსეული წამონწყებაა - *opus honestum!* და მეორე ნაწყვეტი?
- ლენსი:** “ირლანდია პრივილეგირებულია. მსგავსი აღწერა არ ტარდება ინგლისში. ამრიგად, კვლევა უნდა მივიჩნიოთ მთავრობის მხრიდან ირლანდიის ინტერესებისადმი კეთილგანწყობის უტყუარ საბუთად.” პირადად მეც გიდასტურებთ ამ კეთილგანწყობას.
- ოუენი:** აღწერა გვიჩვენებს მთავრობის დაინტერესებას ირლანდიით და კაპიტანი მაღლობას გიხდით, რომ ყურადღებით უსმენდით.
- ჰიუ:** რა სამადლობელოა, კაპიტანო.
- ლენსი:** ლეიტენანტო იოლანდ?
- იოლანდი:** მე...მე... მე... არაფერი მაქვს სათქმელი... მართლა...
- ოუენი:** კაპიტანი თვითონ, უშუალოდ ადგენს რუკას. ჯორჯის ამოცანაა, რომ ადგილების დასახელებები რუკაზე სწორად იყოს დატანილი. (იოლანდს) იქნებ რაიმე გვითხრათ, თქვენი მოსმენა უნდათ. (კლასს) ხომ გინდათ, ჯორჯსაც მოუსმინოთ?
- მეირე:** აქვს რო რაიმე სათქმელი?
- იოლანდი:** (მეირეს) ბატონო... უკაცრავად?
- ოუენი:** ვგიჟდები, ისე მინდა თქვენი მოსმენაო.

იოლანდი: (მეირეს) რა კეთილი ბრძანდებით... გმადლობთ... (კლასს) მხოლოდ იმას გეტყვით, რომ თავს... რომ თავს სულელურად ვგრძნობ – აქ უნდა ვიმუშაო და თქვენი ენა არ ვიცი. მაგრამ ამას აუცილებლად გამოვასწორობ – როულანდის დახმარებით – კი, ნამდვილად გამოვასწორობ.

ოუენი: უნდა, რომ ირლანდიური ვასწავლო!

ჰიუ: მაშ, ორმაგად კეთილი იყოს თქვენი ფეხი, სერ.

იოლანდი: ჩემი აზრით თქვენი მხარე ძალიან ... ძალიან... ძალიან ლამაზია. უკვე შემეცვარდა. იმედია, მეტისმეტად ... მეტისმეტად უხეშად არ ვიჭრებით თქვენს ცხოვრებაში. და თანაც, დარწმუნებული ვარ, აქ ბედნიერი, ძალიან ბედნიერი ვიქნები... აქ.

ოუენი: უკვე ნამდვილი ირლანდოფილია...

ჯიმი: ესე იგი, უყვარს...

ოუენი: გეყოფა ჯიმი, ვიცი... ბეილი ბეგი უყვარს და თქვენ ყველანი უყვარხართ.

ჰიუ: უკაცრავად... თუ ნებას დამრთავთ...?

(ჰიუ უკვე მთვრალია. მაგიდის კიდეზე ეჭიდება)

ოუენი: მიდი, მამა. *(ხელით ანიშნებს ყველას, გაჩუმდნენ)* თუ შეიძლება, ერთი წუთით.

ჰიუ: ჩვენ კი, ჯენტლმენებო, ჩვენი მხრივ, მოხარულნი ვართ, შემოგთავაზოთ მეგობრობა, სტუმართმოყვარეობა და ნებისმიერი სახის დახმარება, რაც კი დაგჭირდებათ. ჯენტლმენებო – კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!

(აქა-იქ გაისმის ობოლი ტაში. ფორმალური მხარე დასრულდა. საერთო საუბრები იწყება. ჯარისკაცები ეცნობიან ადგილობრივებს. მანუსი და ოუენი ავანსცენაზე ხვდებიან ერთმანეთს)

ოუენი: ლენსი პირნავარდნილი სამხედროა, მაგრამ ჯორჯს არა უშავს. შენ როგორ ხარ?

მანუსი: რანაირად თარგმნიდი, ოუენ?

ოუენი: მაგრა ავურიე?

მანუსი: იმას არ ამბობდი, რასაც ლენსი ყვებოდა!

ოუენი: "აზრის ბუნდოვანება პოეზიის ჩანასახიაო" – ვინ თქვა?

მანუსი: არაფერი ბუნდოვანი ლენსის არ უთქვამს: ეს ჩვეულებრივი სამხედრო ოპერაციაა, ოუენ! იოლანდმა რა უნდა აკეთოს? "არასწორი" რა გვაქვს აქაური ადგილების დასახელებებში?

ოუენი: რა და არაფერი. უბრალოდ, ყველა დასახელება სტანდარტების მიხედვით შესწორდება.

მანუსი: ანუ, ინგლისურით შეიცვლება?

ოუენი: თუ სადმე ორაზროვნებაა, გაინგლისურდება.

- მანუსი:** და თან, როულანდს გეძახიან! ორივენი როულანდს გეძახიან!
- ოუენი:** ჰაჰ! რა სისულელა, არა? როგორც ჩანს, თავიდანვე არასწორად გაიგეს – ან, ოუენის გამოთქმა არ შეუძლიათ. მეგონა, თქვენგან რომელიმე ნაძირალა აუცილებლად დამცინებდა.
- მანუსი:** არ ეტყვი?
- ოუენი:** ჰო, ჰო.. მერე, მერე.
- მანუსი:** მერე რატომ...
- ოუენი:** დამშვიდდი, რა. ოუენი – როულანდი – სულერთი არაა? სახელია, მეტი ხომ არაფერი. მე ისევ მე ვარ. ეგრე არაა?
- მანუსი:** კი, ეგრე. იგივე ოუენი ხარ.
- ოუენი:** და შენც - იგივე მანუსი. და რაღაცნაირად ვავსებთ თითქოს ერთმანეთს. (მსუბუქად წაუთაქებს, ხუმრობით და დანარჩენებისკენ გაემართება) აბა, ვნახოთ, ვინ გაიცნო უკვე ერთმანეთი? შუამავალი ვარ და ყველაფერი უნდა ვიცოდე, არა?

(მანუსი აკვირდება, როგორ თავდაჯერებით მიდის ოუენი მეირესთან, ჩაკიდებს ხელს და იოლანდს წარუდგენს.

ჰიუ ბარბაციით ცდილობს, კიბეზე ავიდეს.

ჯიმი რაღაც ტექსტში ჩაკარგულა.

დოულთი და ბრიჯითი ისევ ხითხითებენ.

სარა მანუსს მიშტერებია.)

მეორე მოქმედება

სცენა პირველი

ტოპოგრაფებმა უკვე დაიტანეს რუკაზე ტერიტორიის უდიდესი ნაწილი. იოლანდის ოფიციალური სამუშაო, რომელსაც ახლა ოუენი ასრულებს, არის თითოეული გელური დასახელებისთვის – იქნება ეს ბორცვი, წყარო, კლდე თუ უბრალოდ მიწის ნაგლეჯი, რომელსაც რაიმე ირლანდიური სახელი ერქვა – გაინგლისურებული სახელის მოფიქრება – რისთვისაც დაახლოებით ინგლისურ ჟღერადობას არგებენ, ან თარგმნიან ინგლისური სიტყვებით. მაგალითად, ისეთი გელური სახელი, როგორცაა კნოკ ბანი, ხდება ნოქბენი ან პირდაპირ ითარგმნება, როგორც „მშვენიერი ბორცვი“ (ფეარ ჰილ). ეს ახალი სტანდარტი ზებული დასახელებები შეტანილია ნიგნ-ცნობარში, და როდესაც ახალი რუკები გამოჩნდა, მათზე უკვე ეს ახალი გაინგლისურებული დასახელებები იყო მითითებული. ოუენის, როგორც თარგმნის ოფიციალური ფუნქციაა, წარმოთქვას თითოეული დასახელება ირლანდიურად და ასევე უზრუნველყოს ინგლისური თარგმანი.

ისევ ცხელი ამინდები უჭირავს. რამდენიმე დღის შემდეგ, გვიან ნაშუადღევს.

მარცხენა მხარეს: სახელდახელო სარეცხის თიკია გაჭიმული, კედელში ჩარჭობილ ლურსამანსა და ურემს შორის, ზედ რამდენიმე პერანგი და წინდა ჰკიდია.

იატაკზე გაშლილია დიდი რუკა, ერთ-ერთი იმ ახალი, ჯერ შეუვსებელი რუკებიდან. ოუენი ოთხზე დგას, რუკას ჩაჰკირკიტებს. მთელი გულისყურით ჩართულია საქმეში, დიდი ენერჯითა და მონდომებით მუშაობს.

იოლანდის მერყეობა სადღაც გამქრალა – ახლა თავს ისე გრძნობს, როგორც საკუთარ სახლში. იატაკზე ზის, გრძელი ფეხები გაუშლია, ზურგით კალათს მიყუდებულია, თვალები დახუჭული აქვს. გონებით სხვაგან ქრის. ერთ-ერთი ნიგნი, რომლითაც ხელმძღვანელობს, საეკლესიო ჩანანერების ნიგნი – კალთაში გადახსნილი უდევს.

ირგვლივ სხვადასხვა ნიგნებია – სახელების რეესტრი, პოტინის ბოთლი, ჭიქები და ა.შ.

(ოუენი ჩანანერს ასრულებს სახელების რეესტრში და იატაკზე გაშლილ რუკას უბრუნდება.)

ოუენი: მოკლედ, სად ვიყავით? ჰო – იმ ადგილას, სადაც წყარო უერთდება ზღვას – იქ რომ პატარა ქვიშიანი სანაპიროა. ჯორჯ!

იოლანდი: ჰო. გისმენ. რას ეძახი მაგ ადგილს? კიდევ ერთხელ მითხარი ირლანდიური სახელი.

ოუენი: ბუნ ნა ჰაბჰან.

იოლანდი: ერთხელაც.

ოუენი: ბუნ ნა ჰაბჰან.

იოლანდი: ბუნ ნა ჰაბჰან.

ოუენი: საშინლად გამოგდის, ჯორჯ.
იოლანდი: ვიცი. ბოდიში. ერთხელაც მითხარი.
ოუენი: ბუნ ნა ჰაბჰან.
იოლანდი: ბუნ ნა ჰაბჰან.
ოუენი: ახლა უკეთესია. ბუნ ირლანდიურად ნიშნავს ფსკერს. ჰაბჰან ნიშნავს მდინარეს. ანუ, სიტყვა-სიტყვით გამოდის მდინარის პირი.
იოლანდი: შევეშვათ. ინგლისურში მაგის შესბამისი ბგერა არ არსებობს.
ოუენი: საეკლესიო წიგნში რა ქვია?

(იოლანდი ახლავს ახელს თვალებს)

იოლანდი: მოიცა, ვნახო... ბანოუენი.
ოუენი: არასწორია. *(ამონმებს ტექსტში)* თავისუფალი მინათმფლობელების სიაში მაგ ადგილს ოუენმორი ქვია, რაც კიდევ უფრო არასწორია: ოუენმორი ქვია მდინარეს ამ ოლქის დასავლეთ საზღვარზე. *(ახლა სხვა წიგნში ამონმებს)* მსაჯულთა სიაში კიდევ ნახე რა ქვია – ღმერთო! – ბინჰონე! ეგ საიდანღა მოიტანეს! მოდი, გავაინგლისუროთ და ბანოუენი დავარქვათ; არც იქით იქნება, არც აქეთ.

(იოლანდი ისევ ხუჭავს თვალებს)

იოლანდი: მორჩა, ვნებდები.
ოუენი: *(რუკასთან)* სახელმძღვანელო პრინციპებს დავუბრუნდეთ. მითხარი, რას ვაკეთებთ?

იოლანდი: კარგი კითხვაა.

ოუენი: ვცდილობთ სახელი დავარქვათ და თან აღვწეროთ მიწის პანანინა ჭოაბიანი, კდლოვანი, ქვიშიანი ნაგლეჯი, სადაც წყარო უერთდება ზღვას, ადგილი, რომელსაც აქაურები ბუნ ნა ჰაბჰანს ეძახიან... ბარნფუტი! ბარნფუტი როგორ მოგწონს?

იოლანდი: *(გულგრილად)* კარგია, როულანდ. ბარნფუტი კარგია.

ოუენი: ჯორჯ, მე არ მქვია...

იოლანდი: ბ-ა-რ-ნ-ფ-უ-ტ-ი?

ოუენი: ჰო, ალბათ. შენ როგორ ფიქრობ?

იოლანდი: იყოს.

ოუენი: მოგწონს?

იოლანდი: კი.

ოუენი: გადანყდა ბარნფუტი. *(შეაქვს ჩანანერი სახელების ნიგნში)*— ბუნ ნა ჰაბჰანი – ბ-ა-რ-ნ...

იოლანდი: მაგრად დაოსტატდი ამ საქმეში.

ოუენი: ძალიან ნელა მივდივართ ნინ.

იოლანდი: *(ისევ ახელს თვალებს)* ლენსიმ წუხელ ისევ შემჯორა.

ოუენი: როდის ამთავრებს აქ მუშაობას?

იოლანდი: ტოპოგრაფები უკვე ამ კვირის ბოლოს მიდიან. პრობლემა ისაა, რომ მაგათი დასრულებული რუკები ვერ დაიბეჭდება, სანამ ამ სახელებს არ მივანოდებთ. ასე რომ, ლონდონიდან ლენსის აგინებენ, ლენსი კიდეც მე მაგინებს. მაგრამ ჩემი შეშინება არაა იოლი.

(კიბის თავში მანუსი გამოჩნდება, ჩამოდის)

მე ვუთხარი, უკაცრავად, სერ, მაგრამ ყველა საქმეს თავისი ტემპი აქვს. შეუძლებელია, მთელს ქვეყანას ერთ ღამეში გადაარქვა სახელი-მეთქი. ირლანდიურმა ჰაერმა გამათამამა. (მანუსს) ხელს გიშლით, ხომ არ გავიდე?

მანუსი: ჯერ ადრეა. გაკვეთილი ნახევარ საათში იწყება.

იოლანდი: უკაცრავად?

ოუენი: ხომ შეგიძლია, ინგლისურად უთხრა?

(მანუსი თოკიდან სარეცხს ხსნის. ოუენი რუკას უბრუნდება)

ოუენი: ახლა გადაღმა სანაპიროს მივადექით... /

იოლანდი: თრა – სანაპირო ირლანდიურად. (მანუსს) ხედავ, ცალკეულ სიტყვებს ვიმახსოვრებ, მანუს.

მანუსი: კარგია.

ოუენი: /...ბარნფუტის გავლით; მანდ სიახლოვეში არაფერს სახელი არ ქვია, ყოველ შემთხვევაში, მე არ მსმენია. სამხრეთ საზღვრამდეც ჩავალნიეთ და... აქ კლდიანი ქედი უნდა იყოს... ტოპოგრაფებმა არ მონიშნეს? მოუნიშნავთ. შეხედე, ჯორჯ.

იოლანდი: სად ვართ?

ოუენი: აი, აქ.

იოლანდი: დავიბენი.

ოუენი: აქ. და ამ ქედს ქვია დრუიმ დუბჰ. აბა, როგორ იქნება ინგლისურად, ლეიტენანტო?

იოლანდი: ერთხელაც მითხარი.

ოუენი: დრუიმ დუბჰ.

იოლანდი: დუბჰ ნიშნავს შავს.

ოუენი: კი.

იოლანდი: და დრუიმ რას ნიშნავს..? ფორტს?

ოუენი: გუშინ შეგვხვდა, დრუიმ ლუახრა.

იოლანდი: ქედი! შავი ქედი! (მანუს) ხომ ხედავ, მანუს?

ოუენი: ზაფხულის ბოლომდე წყალივით გეცოდინება ირლანდიური.

იოლანდი: ეჰ, ნეტავ მართლა ეგრე იყოს. (მანუსს, რომელიც ოთახს გადაკვეთს და კიბით მეორე სართულზე ასვლას აპირებს) ერთი ყუთი ფორთოხალი მივიღეთ დღეს დუბლინიდან. ცოტას გამოგიგზავნით.

მანუსი: გმადლობთ. (ოუენს) ეგ ბოთლი სადმე გადამალე. მამამ ეს ნუთია, გაიღვიძა და აჯობებს, არსად გადაეყაროს.

ოუენი: არ შეგიძლია, ამ კაცის თანდასწრებით მაინც ინგლისურად ილაპარაკო?

მანუსი: რატომ?

ოუენი: ზრდილობის ამბავია.

მანუსი: მაგას ხომ ირლანდიურის სწავლა უნდა? (იოლანდს) არ გინდათ ირლანდიურის სწავლა?

იოლანდი: უკაცრავად... მე... მე...

მანუსი: ლენსისნაირების გადასარევად მესმის, მაგრამ თქვენნაირი ხალხის ვერაფერი გამიგია.

ოუენი: მანუს, გთხოვ!

მანუსი: (კვლავ იოლანდს) როგორ მიდის თქვენი სამუშაო?

იოლანდი: სამუშაო?.. სამუშაო? ოჰ, მიდის რა – ნელ-ნელა... მგონი... (ოუენს) ... შენ რას იტყვი? მაგრამ როულანდი რომ არ გვყოლოდა, დავიღუპებოდით.

მანუსი: (გადის) ეჭვიც არ მეპარება. ეგეთი როულანდები ყოველთვის გამოჩნდებიან ხოლმე, არა? (აუყვება კიბეს და უჩინარდება).

იოლანდი: რაო, რა თქვა? ლენსი ახსენა, არა?

ოუენი: ბოთლი გადამალეთ, სანამ მამას ხელში ჩაუვარდებაო.

იოლანდი: აჰ.

ოუენი: სულ ცდილობს, მამა დაიცვას.

იოლანდი: დაბადებიდან კოჭლია?

- ოუენი:** უბედური შემთხვევა მოხდა, სანამ ჯერ კიდევ ჩვილი იყო: მამა ნაიქცა და მაგის აკვანს გადაემხო ზედ. მაგიტომაცაა მანუხი მამას ზედ გადაყოლილი.
- იოლანდი:** ცოლს რატომ არ ირთავს?
- ოუენი:** ფული არ ჰყოფნის, სავარაუდოდ.
- იოლანდი:** ხელფასი არა აქვს?
- ოუენი:** რა ხელფასი? მთელი მაგისი შემოსავალი ერთი-ორი შილინგია, რასაც მამა მიუგდებს ხოლმე – და ეგეც ძალიან იშვიათად. მე დროზე გამისწრია აქედან, არა? *(იოლანდი სასმელს ისხამს)* მაგას ნუ გაუთამამდები, ეგრევე დაგარტყამს.
- იოლანდი:** მომნონს.
- ოუენი:** მოდი, საქმეს დავუბრუნდეთ. დრუიმ დუბჰს – მსაჯულთა სიაში რა ქვია? *(ამონმებს ტექსტში)*
- იოლანდი:** ზოგიერთი აქაური ვერ გვიტანს.
- ოუენი:** დრამდუფი – როგორც ყოველთვის, ესეც არასწორია.
- იოლანდი:** გუშინ პატარა გოგონას ჩავუარე და შემომაფურთხა.
- ოუენი:** აქ კიდევ დრიმდუ ნერია. რეესტრში რა სახელია?
- იოლანდი:** დონელის ტყუბებს იცნობ?
- ოუენი:** ვის?
- იოლანდი:** დონელის ტყუბებს.
- ოუენი:** კი. აქაურობის საუკეთესო მეთევზეები არიან. რაში გაგახსენდა?
- იოლანდი:** ლენსი ეძებს მაგათ.
- ოუენი:** რატომ?
- იოლანდი:** უნდა დაკითხოს.
- ოუენი:** ალბათ, ვინმეს ბადეები მოპარეს. დრამდუფი! მაგ ადგილს არავინ არასოდეს ეძახდა დრამდუფის. ამ სამი ვარიანტიდან ამოარჩიე.
- იოლანდი:** ტვინი გამინყალდა უკვე. მოდი, შევისვენოთ. დალევ?
- ოუენი:** მადლობა. ესე იგი, სადაც კი დუბჰი შეგვხვდა, ყველა დუფ-ად გადავაკეთეთ. ანუ, თუ თანმიმდევრულები ვიქნებით, მე გთავაზობ, დრუიმ დუბჰს დავარქვათ დრომდუფი.
- (იოლანდი ახლა ფანჯარაში იყურება).*
- ოუენი:** მაგ ქედის ბოლო აქედანაც მოჩანს. მაგრამ დ-რ-ა-მ თუ დ-რ-ო-მ? *(ჩახედავს სახელების წიგნს)* ხომ არ გახსოვს, დრუიმ ლუახრაზე როგორ შევთანხმდით?

- იოლანდი: აი, ის სახლი, ზუსტად ჩვენი ბანაკის თავზე...
- ოუენი: რა?
- იოლანდი: ის სახლი, სადაც მეირე ცხოვრობს.
- ოუენი: მეირე? ოჰ, მეირე კატახი.
- იოლანდი: ეგ რას ნიშნავს?
- იოლანდი: ხუჭუჭთმიანს. მაგათ მთელ ოჯახს კატახებს ეძახიან. რაო რას ამბობდი?
- იოლანდი: თითქმის ყოველ ღამე იმ სახლიდან მუსიკის ხმა მესმის.
- ოუენი: მერე მიდი და შეუარე.
- იოლანდი: შეიძლება?
- ოუენი: რატომაც არა? დ-რ-ო-მ გამოგვიყენებია. მოკლედ, დრომდუფი უნდა დავარქვათ, კარგი?
- იოლანდი: დაბრუნდი იმ ადგილას, სადაც ახალი სკოლა შენდება და სახელები კიდევ ერთხელ წამიკითხე, კარგი?
- ოუენი: კარგი აზრია. ფულქერი, ბელიბეგი...
- იოლანდი: არა, არა; ძველი სახელები მინდა – შენს ენაზე.
- ოუენი: პოლ ნა გკაორახ (იოლანდი უხმოდ იმეორებს სახელებს) ბეილი ბეგ, კეანნ ბალორ, ლის მაოლ, მახაირე ბუიღჰე, ბაილი ნა გკალ, კარრაიგ ნა რი, მულლას დეარგ...
- იოლანდი: როგორ ფიქრობ, აქ ცხოვრებას შევძლებდი?
- ოუენი: რას გულისხმობ?
- იოლანდი: აქ დაფუძნებას – აქ ცხოვრებას.
- ოუენი: კარგი რა, ჯორჯ.
- იოლანდი: არა, მართლა.
- ოუენი: კარტოფილი და უმარილო დო გაგატანინებდა თავს?
- იოლანდი: მართლა ღვთაებრივი ადგილია.
- ოუენი: თუ ღმერთი გწამს, რა! ბოლო ორმოცდაათ წელიწადში პირველი ცხელი ზაფხული გამოერია და ედემის ბალად გეჩვენება. ეგეთი რომანტიკოსობა არ ვარგა. აქაურ ზომიერ ზამთარსაც კი ვერ გაუძლებ.
- იოლანდი: ვითომ ვერა? ალბათ, მართალი ხარ.

(შემოვარდება დოულთი)

დოულთი: სალამი, ბიჭებო, მანუსი ხომ არ დაგინახავთ?

ოუენი: ზევეითაა. დაუძახე.

დოულთი: მანუს! საქონელი გაგიჟდა ამ სიცხეში – ჯანდაბა, გამხეცებულები დარბიან ყველგან. (იოლანდს) როგორა ხარ, კაპიტანო?

(მანუსი გამოჩნდება)

იოლანდი: მადლობა, რომ მომი... მე, მე ძალიან მადლობელი ვარ...

დოულთი: ტყუილად წვალობ. ერთი სიტყვაც არ მესმის, რას ლაპარაკობ. გამარჯობა, მანუს, ვილაც ორი ტიპი გკითხულობდა, გზაზე, ქვემოთ.

მანუსი: (ჩამოდის) ვინ არიან?

დოულთი: პირველად ვხედავ ორივეს. შენთან დალაპარაკება უნდათ.

მანუსი: რასთან დაკავშირებით?

დოულთი: არაფრით არ მითხრეს. წამო. თუ არ დავამწყვდიეთ, ეს გაცოფებული საქონელი ჭაობებში დაგვეხრჩობა. აბა, თქვენ იცით, ბიჭებო!

(დოულთი გარბის. მანუსი მას მიჰყვება)

ოუენი: აბა, შენ იცი. დოულთის მადლობას რისთვის უხდის?

იოლანდი: ამ დილით კარავთან ახლოს პირს რომ ვიბანდი, იქვე ჩამოიარა, მხარზე ცელი გაედო. მომიახლოვდა და მაღალ ბალახზე მანიშნა ხელით, მერე ჩემი კარვის ირგვლივ ბალახი მოთიბა და კარვიდან მთავარ გზამდე ბილიკიც მიაყოლა, რომ დილაობით ცვრიან ბალახზე ფეხები არ დამსველებოდა. რა კეთილი საქციელია, არა? მე კიდევ მადლობის სათქმელი სიტყვებიც კი არ ვიცი... მგონი, მართალი ხარ, არა, აქ ვერ ვიცხოვრებდი... ამ დილით, სანამ დოულთი გამოჩნდებოდა, ერთი წამით დავფიქრდი, ხომ შეიძლებოდა, ბელიბეგის ნაცვლად ბომბეიში ვყოფილიყავი. მოკლედ, მამაჩემს მთლად გულზე არ ვეხატებოდი და ბოლოს სამსახური მიშოვა რაღაც ინდურ კომპანიაში, კლერკის ადგილი. ათი, თერთმეტი თვის წინანდელ ამბავს გიყვები. ჰოდა, გავემგზავრე ლონდონში. სამწუხაროდ... გემზე დამაგვიანდა. მართლა დამაგვიანდა. ამის მერე მამაჩემს ველარ დავენახვებოდი და არც იმდენი ფული მქონდა, რომ შემდეგ გემს დავლოდებოდი. ჰოდა, ჯარში წავედი. იმათ კიდევ, საინჟინრო პოლკში შემტენეს და დუბლინში გადამისროლეს. დუბლინმა კი აქ გამომგზავნა. ჰოდა, ამ დილით, სანამ პირს ვიბანდი და ტრა ბჰანს გავყურებდი, ვფიქრობდი, როგორ გამიმართლა, როგორ სასწაულად გამიმართლა, რომ ბომბეის ნაცვლად აქ აღმოვჩნდი-მეთქი.

ოუენი: ბედისწერის გჯერა?

იოლანდი: ლენსი ძალიან გავს მამაჩემს. ნუხელ ვაკვირდებოდი. ტოპოგრაფების ყველა ჯგუფისგან პირადად ჩაიბარა ანგარიში. სავლელ სამზარეულოები შეამონმა. ცხენები გასინჯა. ყველა ანგარიშს საგულდაგულოდ გაეცნო – ის კი არა, ქალაქის ფაქტურასაც ამონებდა და ხელნაწერის სისუფთავესაც აქცევდა ყურადღებას. ნამდვილი კოლონიალისტი მოხელეა – სამუშაო უბრალოდ კი არ უნდა შესრულდეს, ყველაფერი უნაკლო უნდა იყოს. მამაჩემიც ასეთი

სულისკვეთების კაცია; ასეთი თავდადებული; გამოუღევი ენერჯის პატრონი. გზებს აშენებს – იმპერიის ერთი ბოლოდან მეორეში დახტის. ხუთ წუთს ვერ ჩერდება წყნარად. ასე ამბობს, ცხოვრებაში ყველაზე დიდხანს წყნარად ვატერლოოს ბრძოლის წინა ღამით ვიჯექი, როცა ველოდებოდით, ველინგტონი იერიშზე გადასვლას როდის გადაწყვეტდაო.

ოუენი: რამდენი წლისაა?

იოლანდი: 1789 წელს დაიბადა – ზუსტად ბასტილიის დაცემის დღეს. ხშირად მიფიქრია, რომ ამან მისი ხასიათი განსაზღვრა. როგორ ფიქრობ, არის რაიმე კავშირი? დაბადებიდანვე მემკვიდრეობით ერგო ახალი სამყარო. ძველი დრო დასრულდა. სამყარომ ძველი კანი გამოიცვალა. ადამიანის ნიჭს უკვე ველარაფერი აფერხებდა. უთვალავი ამაღელვებელი შესაძლებლობა გადაიშალა. თვითონ ჯერ კიდევ ასე სჯერა. მაგრამ მალე აპოკალიფსი მოხდება... სამწუხაროდ, ძალიან გავუცრუე იმედები. მე არც მამაჩემის ენერჯია გამომყვა, არც მიზანსწრაფვა და არც რწმენა. მჯერა თუ არა ბედისწერის? იმ დღეს, როცა ბელიბეგში ჩამოვედი ... არა, უფრო სწორად, ბეილი ბეგში – იმ წამს, როცა აქ მომიყვანე, უცნაური გრძნობა გამიჩნდა. მიჭირს ახსნა. უეცარი აღმოჩენის განცდა მქონდა; არა, აღმოჩენის განცდა კი არა... უფრო შეცნობის, იმის დადასტურების, რაც ინსტინქტურად თითქოს უკვე ისედაც ვიცოდი, თითქოს შევაბიჯე...

ოუენი: უკან, ძველ დროში?

იოლანდი: არა, არა. ცნობიერების ისეთ საფეხურზე გადავინაცვლე, სადაც არც ჯიბრია, არც შფოთვა არ იყო გამალებული სწრაფვა, არის მხოლოდ სიმშვიდე და საკუთარი თავის რწმენა. მერე, როცა ვუსმენდი, ჯიმი ჯეკი და მამაშენი ერთმანეთს როგორ უყვებოდნენ აპოლონის, კუხულანის, ფერდიას და პარისის ამბებს ისე, თითქოს ესენი აქვე, მათ სამეზობლოში ცხოვრობდნენ, - სწორედ მაშინ გავიფიქრე – დავიჯერე, რომ აქ ცხოვრებას შევძლებდი... (უხერხულად შეიმშუშნება) რა უყავი ის ფოუთინი?

ოუენი: პოტიინი?

იოლანდი: ჰო, პოტიინი, პოტიინი... პოტიინი. ირლანდიური რომც მესწავლა, აქაურებისთვის მაინც უცხოდ დავრჩებოდი, ხომ ასეა? პაროლი კი შეიძლება დაიმახსოვრო, მაგრამ ადგილობრივი ტომის ენას მაინც ვერასოდეს ჩანვდები, არა? გულის გული მაინც... დახშული იქნება, არა?

ოუენი: თუ მოინდომებ, ჩვენს გაშიფვრასაც ისწავლი.

(კიბის თავში ჰიუ გამოჩნდება. ჩამოდის. სამგ ზავროდ გამოწყობილა. დღეს შინაგანადაც და გარეგნულადაც მხნე და მომართულია. ღამის განზრახ უჭირავს ასე თავი. და მართლაც, სცენის განმავლობაში გამოჩნდება, რომ ღამის საკუთარი თავის პაროდისას ასახიერებს. როგორც კი ჰიუ ბოლო საფეხურამდე ჩამოვა, იოლანდი პატივისცემის ნიშნად ფეხზე წამოხტება.)

ჰიუ: (კიბეზე ეშვება) Quantumvis cursum longum fessumque moratur

Sol, sacro tandem carmine vesper adest.

ამ ლექსებს გასართობად ვთხოვ, ლეიტენანტო, ოვიდიუსს ვბაძავ. (ოუენს) ერთი წვეთი შემასვი, მხნეობისთვის.

იოლანდი: უნდა მითარგმნოთ.

ჰიუ: შევეცდები – “სულერთია, რამდენ ხანს უნათებს გზას დამაშვრალ მგზავრს მზის სხივები, ბოლოს მაინც სალამო მოვა და თან წმინდა საგალობელს გამოიყოლებს.”

იოლანდი: ძალიან ლამაზია, სერ.

ჰიუ: ინგლისურ ენაზე, ვაგლახ, ეს ყოველივე ფრიად... მდაბიურად ჟღერს.

ოუენი: საით მიდიხარ, მამა?

ჰიუ: ექსპედიციაში, სამი მიზნით. მიზანი პირველი: ჩვენი მრევლის მღვდლისაგან სარეკომენდაციო წერილი უნდა ავიღო... (იოლანდს) ღირსეული კაცია, მაგრამ ლამის წერა-კითხვის უცოდინარი; და რახან მთხოვს, წერილი მე თვითონ შევადგინო, როგორ ფიქრობთ, შევძლებ, მთელი ჩემი მოკრძალების გათვალისწინებით, საკმარისად შევაქო საკუთარი თავი? (ოუენს) ეს (სასმელი) საიდან გაქვს?

ოუენი: ანნა ნა მბრეიგისგან.

ჰიუ: (იოლანდს) მაშ დიდი სიფრთხილით უნდა მოეკიდოთ. (სასწრაფოდ მოიყუდებს სასმელს და იჯლანება. ჭიქას გაიწვდის, კიდევ შემივსეო) ანნა ნა მბრეიგი ნიშნავს მატყუარა ანას. მაშ, მიზანი მეორე: სკოლის მშენებლებს უნდა დაველაპარაკო, ჩემი საცხოვრებლის თაობაზე, რას ვითხოვ, რა მჭირდება. ისედაც მთელი ცხოვრებაა, ჯიბეგაფხეკილი მკერავივით ვცხოვრობ.

იოლანდი: წლების წინ ერთ პოეტთან საკმაოდ ახლოს ვცხოვრობდით – დაახლოებით სამი მილის მოშორებით.

ჰიუ: პოეტის სახელი?

იოლანდი: უორდსუორთი – უილიამ უორდსუორთი.

ჰიუ: ჩემზე თუ გითხრა რაიმე?

იოლანდი: სიმართლე გითხრათ, მასთან არასოდეს მისაუბრია. უბრალოდ, შორიდან თუ მოვკრავდი თვალს, სეირნობისას.

ჰიუ: უორდსუორთი? ... არა. სამწუხაროდ, თქვენს ლიტერატურას არ ვიცნობთ, ლეიტენანტო. ხმელთაშუა ზღვის სითბოსთან მეტ სიახლოვეს ვგრძნობთ. თქვენს კუნძულს ვერც კი ვამჩნევთ.

იოლანდი: ცოტა ირლანდიურს ვსწავლობ, სერ.

ჰიუ: კარგია.

იოლანდი: როულანდი მასწავლის.

ჰიუ: შესანიშნავია.

იოლანდი: იმის თქმა მინდა, რომ აქაურებისგან გარიყულად ვგრძნობ თავს. სულ ახლახან კი იმას ვამბობდი, როგორ მომწონს აქაურობა. ბედნიერებაა, რომ შეგხვდით თქვენ და ჯიმი ჯეკს, ადამიანებს, ვინც თავისუფლად ლაპარაკობს ბერძნულად და ლათინურად. და თანაც, ადგილებს რა სახელები ქვია... ამ დილით რა შეგხვდა? – ტერმონი – ტერმინუსიდან მოდის, საზღვრების ღვთაების სახელიდან. ეს... ეს... ეს მართლაც გასაოცარი ამბავია.

ჰიუ: ფრიად მოგვწონს ის აზრი, რომ უხსოვარი დროიდან შემორჩენილ ჭეშმარიტებებს ვიცავთ.

იოლანდი: და თქვენი ირლანდიური ლიტერატურა... თქვენ თვითონაც პოეტი ბრძანდებით...

ჰიუ: სამწუხაროდ, მხოლოდ ლათინურად ვწერ.

იოლანდი: როგორც ვხვდები, წარმოუდგენლად მდიდარი და დახვეწილია.

ჰიუ: ჭეშმარიტად, ლეიტენანტო. მდიდარი ენაა. მდიდარი ლიტერატურა. შეიძლება დაინახოთ, სერ, რომ ზოგიერთი კულტურა თავის ლექსიკურ მარაგსა და სინტაქსში მოაქცევს ხოლმე ენერჯისა და მშვენიერების იმ ნაკრებს, რომელიც მატერიალურ ყოფაში საერთოდ არ გააჩნია. ვგონებ, შეგიძლიათ, სულიერი ერი გვინოდოთ.

ოუენი: *(არცთუ ბოროტად, უფრო იოლანდის წინაშე უხერხულობის დასაძლევად)* მორჩი მაგ სისულელეს, მამა!

ჰიუ: სისულელეს? რომელ სისულელეს?

ოუენი: მღვდელი სად ცხოვრობს, იცი?

ჰიუ: ლის ნა მუკში, სადღაც იქ...

ოუენი: არა, მანდ არა. ლის ნა მუკი, ღორების ფორტს ნიშნავს და ახლა უკვე სუაინფორტი ქვია. *(ფურცლავს სახელების წიგნს)*. სუაინფორტამდე მისაღწევად გრინქასლი, ფეარ ჰედი, სტრენდჰილი, გორთი და უაითფლეინზი უნდა გაიარო. ახალი სკოლა კი პოლ ნა გკაორახზე აღარაა – მაგ ადგილს უკვე შიპროკი ქვია. გაიგნებ გზას?

(ჰიუ კიდევ ერთს ჩამოისხამს)

ჰიუ: დიახ, ენა მართლაც მდიდარია, ლეიტენანტო, სავსეა მითოლოგიითა და ფანტაზიებით, ნამდვილი და ცრუ იმედებით – ხვალინდელი დღის რწმენით უხვად გაჯერებული სინტაქსით. ეს არის ჩვენი პასუხი მიწურებში ცხოვრებასა და გამუდმებით კარტოფილის ჭამაზე; ჩვენი ერთადერთი გზა, როგორმე საკადრისი პასუხი მივაგოთ... გარდაუვალს. *(ოუენს)* ნახევარ კრონას ვერ მასესხებ? ჩემი ახალი წიგნის ხელმოწერებიდან შემოსული ფულით გადაგიხდი. *(იოლანდს)* წიგნის სათაურია: "პენტაგლოტური სახელმძღვანელო ანუ, ელემენტარული სანყისები ინგლისური, ბერძნული, ებრაული, ლათინური და ირლანდიური ენებისა. განსაკუთრებით გათვლილი მოწყალე ქალბატონებისა და ბატონებისთვის, ვისაც ენების შესწავლა უმასწავლებლოდ სურთ".

იოლანდი: *(იციანის)* შესანიშნავი სათაურია!

- ჰიუ:** ჩვენში დარჩეს – მთელ ამ საქმეში ეგ სათაური ჯობია ყველაფერს. თანაც, კაცმა რომ თქვას, ებრაული ენა არ ვიცი. და კიდევ, სათაურის ბოლო სიტყვები ” ენების შესწავლა უმასწავლებლოდ სურთ” – მანამ მოვიფიქრე, სანამ ეს ახალი საჯარო სკოლა დამატყდებოდა თავს – როგორ ფიქრობთ, ხომ არ ჯობია, ამოვიღო? ბოლოს და ბოლოს, იმ ტოტს ხომ არ მოვჭრი, რომელზეც ვზივარ?
- იოლანდი:** ნამდვილად არა.
- ჰიუ:** ჯერ დარჩეს. მე ახლა ხელს გიშლით მუშაობაში. (*კართან მიდის და ჩერდება*). იმ საკითხს ერთი წამით რომ დავუბრუნდეთ, ლეიტენანტო. მესმის, რატომ გრძნობთ თავს გარიყულად, აქაური ცხოვრებიდან მოკვეთილად და მჯერა, რომ ჩემი შვილის დახმარებით ჩვენკენ მომავალ გზას იპოვით. მაგრამ გახსოვდეთ, რომ სიტყვა სიგნალია, საგზაო ნიშანია. სიტყვები მარადიული არ არის. და შესაძლოა ისეც მოხდეს – როგორ აგიხსნათ თქვენთვის გასაგებ ენაზე... შესაძლოა, ისეც მოხდეს, რომ რომ ცივილიზაცია იმგვარ ლინგვისტური კონტურში ჩაიკეტოს, რომ ველარ ასახოს რეალური პეიზაჟი, სინამდვილე. ჯენტლმენებო! (გადის)
- ოუენი:** “ექსპედიცია სამი მიზნით”: ბავშვები სულ დასცინიან: ყოველთვის პირდება ხოლმე სამ პუნქტს და ვერასოდეს ა და ბე პუნქტებს ვერ სცდება.
- იოლანდი:** გამჭრიახი კაცია.
- ოუენი:** გაუთავებლად ლოთობს. ეგ რანაირი გამჭრიახოებაა.
- იოლანდი:** კარგად ესმის, რაც ხდება.
- ოუენი:** და რა ხდება?
- იოლანდი:** არა ვარ დარწმუნებული. თუმცა, ამ საქმეში ჩემი მონაწილეობა კი მანუხებს. თითქოს რაღაც იშვიათი საბოლოოდ ნადგურდება.
- ოუენი:** ქვეყნის რუკას ვადგენთ. ამაში ცუდს რას ხედავ?
- იოლანდი:** არა, ამაში არა...
- ოუენი:** და არეულ-დარეულ გეოგრაფიულ დასახელებებს ვასწორებთ...
- იოლანდი:** ვინ ურევს? ეს ხალხი ურევს რამეს?
- ოუენი:** ... და რაც შეიძლება ზუსტად და ფრთხილად ვასწორებთ, სტანდარტების მიხედვით.
- იოლანდი:** თან, რაღაცას ვანადგურებთ.
- ოუენი:** ისევ რომანტიკაში გადაეშვი. კარგი! კეთილი! კი ბატონო! შეხედე, სადამდე მივედით! (*ოთხზე დგება და რუკაზე თითოთ აჩვენებს ადგილს*). ამ გზაჯვარედინამდე მივალნიეთ. მოდი და შეხედე, მეგობარო! შეხედე-მეთქი! ამ გზაჯვარედინს ტობეირ ვრეეს ეძახიან. და რატომ? გეტყვი, რატომაც. ტობეირ ნიშნავს ქას. მაგრამ ვრეე რას ნიშნავს? ეს არის დამახინჯებულად წარმოთქმული სახელი ბრიანი. ირლანდიურად ეგრე გამოითქმის. აი, რაც ძველი ფორმიდან დარჩა – ტობეირ ბჰრიან-იდან. ასორმცოდნათი წლის წინ აქ იყო ქა და არა

გზაჯვარედინზე – ეგრე ყველაფერი გასაგები იქნებოდა – არამედ, იქვე ახლოს, მინდორში. ჰოდა, ცხოვრობდა აქ ერთი კაცი, სახელად ბრიანი, რომელსაც საშინლად უშნო, მეჭეჭებიანი სახე ჰქონდა – ამ კაცმა აიჩემა, ჭის წყალი წმინდააო; შვიდი თვის მანძილზე ყოველდღე მოდიოდა ჭასთან და წყლით პირს იბანდა. თუმცა, მეჭეჭები არ გამქრალა; ერთ დღესაც ეს ბრიანი ჭაში დამხრჩვალნი იპოვეს. და მაგ დროიდან მოყოლებული გზაჯვარედინს ტობეირ ვრეეს ეძახიან, მიუხედავად იმისა, რომ ჭა უკვე კარგა ხანია, ამოშრა. ეს ამბავი იმიტომ, ვიცი, რომ ბაბუაჩემმა მიაძბო. მაგრამ თუ დოუღთის, ან მეირეს ან ბრიჯიტს კითხავ, ან თუნდაც – მამაჩემს, ან კიდევ მანუსს, რატომ ჰქვია მაგ ადგილს ტობეირ ვრეე; გგონია, ეცოდინებათ? დარწმუნებული ვარ, არ იციან. ჰოდა, ახლა მე შენ გეკითხები, ლეიტენანტო, რა უნდა ვუყოთ ასეთ დასახელებას? კი ბატონო, ტობეირ ვრეე მთლიანად გადავშალოთ და რა დავარქვათ? უბრალოდ, გზაჯვარედინი? თუ დიდი ხნის წინ გარდაცვლილი, მივიწყებული კაცის ხსოვნას ვცეთ პატივი, ვისი სახელიც ისე დამახინჯებულა, ველარც კი იცნობ და ვისი სულელური ამბავიც აქაურობის არცერთ მაცხოვრებელს აღარ ახსოვს?

- იოლანდი:** შენ ხომ გახსოვს.
- ოუენი:** მე აქ უკვე აღარ ვცხოვრობ.
- იოლანდი:** მაგრამ ხომ გახსოვს.
- ოუენი:** მე გეკითხები: ცნობარში რა ჩავწეროთ?
- იოლანდი:** ტობეირ ვრეე.
- ოუენი:** და ვრეე რაღა ჯანდაბას ნიშნავს?
- იოლანდი:** ტობეირ ვრეე.
- ოუენი:** ეგრე გინდა?
- იოლანდი:** ჰო.
- ოუენი:** დარწმუნებული ხარ?
- იოლანდი:** კი.
- ოუენი:** კარგი. კი ბატონო. როგორც გინდა.
- იოლანდი:** შენც ეგრე გინდა, როულანდ.
- (პაუზა)
- ოუენი:** (აფეთქდება) ჯორჯ! მე როულანდი არ მქვია.
- იოლანდი:** რაო?
- ოუენი:** (რბილად) ოუენი მქვია.
- (პაუზა)

იოლანდი: როულანდი არა?
ოუენი: ოუენი.
იოლანდი: რას მეუბნები...?
ოუენი: ოუენი.
იოლანდი: მაგრამ ამდენი ხანია...
ოუენი: ო-უ-ე-ნ.
იოლანდი: აბა, როულანდი საიდან გაჩნდა?
ოუენი: არ ვიცი.
იოლანდი: როულანდი არასოდეს გერქვა?
ოუენი: არასოდეს.
იოლანდი: ო, ღმერთო!

*(პაუზა. ერთმანეთს მიაჩერდებიან. უეცრად გაიაზრებენ სიტუაციის აბსურდულობას. სიცილი
ნასკდებათ. ოუენი სასმელს ჩამოასხამს. სიცილით კვდებიან და ერთმანეთს რეპლიკებზე
ასხდებიან)*

იოლანდი: რატომ არ მითხარი?
ოუენი: ვგავარ ახლა მე როულანდს?
იოლანდი: გამიმეორე, როგორ იწერება ოუენი.
ოუენი: უკვე მომწონდა კიდეც როულანდი.
იოლანდი: ო, ღმერთო!

(გაუჩერებლად ხარხარებენ. შემოდის მანუსი. რალაციით აღფრთოვანებულია)

მანუსი: რას ზეიმობთ?
ოუენი: ნათლობას!
იოლანდი: ბაპტიზმს!
ოუენი: ასეულობით ნათლობას!
იოლანდი: ასეულობით ბაპტიზმს! კეთილი იყოს თქვენი მობრძანება სამოთხის ბაღში!
ოუენი: ჰო, სამოთხის ბაღში! საგნებს სახელს ვარქმევთ და – ბრახ! იმნამსვე არსებობას
ინყებენ!
იოლანდი: ყოველი სახელი სრულფყოფილი განტოლებაა, თავის ფესვებიანად.
ოუენი: სრულყოფილად შეესაბამება სინამდვილეს. (მანუსს) მოდი, გადაკარი.

იოლანდი: პოტიინი – გადასარევია.

ოუენი: მატყუარა ანას პოტიინი.

იოლანდი: ყოჩაღ, ჯორჯ.

იოლანდი: დამაცადე, როგორ გაგშიფროთ!

ოუენი: (სასმელს სთავაზობს) მანუს!

მანუსი: თუ მაგ დღეში ამ სასმელმა ჩაგყარათ, მაშინ არ მინდა.

ოუენი: მართალი ხარ. აბა, დავწყნარდეთ... დავწყნარდეთ... და გამოვფხიზლდეთ.

იოლანდი: რას მერჩი, ფხიზელი ვარ, ოუენ.

(მანუსი ოუენს მიუახლოვდება)

მანუსი: კარგი ამბავი მაქვს! მამა სადაა?

ოუენი: გავიდა. რა ამბავია?

მანუსი: სამსახური შემომთავაზეს.

ოუენი: სად? *(ახსენდება, რომ იოლანდიც აქაა)* მოდი რა, ინგლისურად ილაპარაკე.

მანუსი: და დამპყრობელს ვასიამოვნო?

ოუენი: პატიოსანი კაცია, რას ერჩი.

მანუსი: ეგენი ყველანი პატიოსნები არიან.

ოუენი: გთხოვ.

(მანუსი მხრებს აიჩეჩავს)

ოუენი: სამსახური შესთავაზეს.

იოლანდი: სად?

ოუენი: ჰე, მიდი, გვითხარი.

მანუსი: ამწუთას შევხვდი ორ კაცს ინის მეიდჰონიდან. მეპატიჟებიან, სოფლის სკოლა გახსენიო. უფასო სახლს, გათბობას და რძეს მთავაზობენ; ხორბლის სათეს ნაკვეთს და თორმეტ მწკრივ კარტოფილს. და კიდევ... *(ჩერდება)*

ოუენი: და კიდევ რას?

მანუსი: ნელინაღში 42 ფუნტ ხელფასს.

ოუენი: გადასარევია, გადასარევია!

მანუსი: შეძლებულ კაცს ელაპარაკები.

ოუენი: ძალიან მიხარია.

იოლანდი: ინის მეიდჰონი სადაა?

ოუენი: აქედან სამხრეთით, კუნძულია. და ამხელა გზაზე ჩამოგაკითხეს?

მანუსი: ეგრე გამოდის...

(ოუენი მუშტს წამოკრავს მანუსს)

ოუენი: აააა! ეს ამბავი კარგად უნდა აღვნიშნოთ.

იოლანდი: გილოცავთ.

მანუსი: გამდლობთ.

ოუენი: სადა ხარ, ანნა?

იოლანდი: როდის იწყებთ?

მანუსი: იქითა ორშაბათს.

ოუენი: კუნძულზე რომ ჩამოვალთ, შენთან გავჩერდებით. (იოლანდს) ინის მედჰონამდე როდის ჩავალწევთ?

იოლანდი: აქედან შორსაა?

მანუსი: დაახლოებით ორმოცდაათ მილზე.

იოლანდი: ჩემი გათვლებით, დეკემბრისთვის.

ოუენი: შობას ერთად შევხვდებით.

იოლანდი: (ჭიქას ასწევს) იმედია, იქაურობა ძალიან მოგეწონებათ, მანუს.

მანუსი: გამდლობთ.

(იოლანდი ხელს გაუნვდის. მანუსი ჩამოართმევს. გულითადად ართმევენ ერთმანეთს ხელს)

ოუენი: მანუსს გაუმარჯოს!

მანუსი: ინის მეიდჰონს გაუმარჯოს. *(სწრაფად გადაკრავს და გასასვლელად მიტრიალდება)*.

ოუენი: მოიცა, მოიცა... კიდევ ჩამოგისხამ.

მანუსი: უნდა წავიდე.

ოუენი: მოიცა ერთი, რა. ამისთანა ამბავი გვაქვს. სად გეჩქარება?

მანუსი: მეირეს უნდა ვუთხრა.

(მეირე შემოდის, ხელში რძის ბიდონით)

მეირე: რა უნდა უთხრა მეირეს?

ოუენი: სამსახური იშოვა!

მეირე: მანუს?

ოუენი: ინის მეიდჰონზე მიინვიეს, სოფლის სკოლის გასახსნელად.

მეირე: სადა?

მანუსი: ინის მეიდჰონზე – კუნძულზე! ნელინადში 42 ფუნტს გადამიხდიან და...

ოუენი: სახლს, გათბობას, რძეს, კარტოფილს, ხორბალს უფასოდ აძლევენ და რას აღარ პირდებიან!

მანუსი: ორშაბათიდან ვინყებ.

ოუენი: ერთი დაგვილიე. ხო გადასარევი ამბავია, არა?

მანუსი: უნდა დაგელაპარაკო...

მეირე: რძე მოგიტანეთ. ჭურჭელი დამიბრუნე.

(მანუსი ბიდონს იღებს და მალლა არბის.)

მანუსი: (გზად) იმედია, კუნძულზე ცხოვრება მოგეწონება.

ოუენი: ჯორჯს ხომ იცნობ, არა?

მეირე: ყანიდან ხელს ვუქნევ ხოლმე.

იოლანდი: რაო? რაო?

ოუენი: ამბობს, ყანიდან ერთმანეთს ხელს ვუქნევთო.

იოლანდი: კი, კი, ეგრეა. როგორ არა, ნამდვილად ეგრეა.

მაირე: რაო, რა თქვა?

ოუენი: ყანიდან ერთმანეთს ხელს ვუქნევთო.

მეირე: მართალია. ეგრე ვშვრებით ხოლმე.

იოლანდი: რაო, რას ამბობს?

ოუენი: არაფერს... არაფერს... არაფერს. (მეირეს) ახალი რა არის?

(მეირე გაეცლება, ფეხის თითით ეხება სახელმძღვანელოს.)

მეირე: არაფერი. თქვენ არ გცალიათ, საქმეს აკეთებთ.

ოუენი: ჰო, ეგრეა.

მეირე: გავიგე, თურმე მევიოლინე ო'ში ჩამოსულა. ამბობენ, ხვალ ღამით ცეკვები გაიმართებაო.

ოუენი: სად?

მეირე: ალბათ, გზის გადაღმა. ან, შეიძლება ტობეირ ვრეეზე.

იოლანდი: ტობეირ ვრეე!

მეირე: ჰო.

იოლანდი: ტობეირ ვრეე! ტობეირ ვრეე!

მეირე: ამას ესმის, რას ვლაპარაკობ?

ოუენი: არცერთი სიტყვა.

მეირე: მაშინ უთხარი.

ოუენი: რა ვუთხრა?

მეირე: ცეკვების ამბავი.

ოუენი: მეირე ამბობს, ხვალ ღამით ცეკვები გაიმართებაო.

იოლანდი: (ოუენს) მართლა? შეიძლება მოვიდე? (მეირე) ვინმე ხომ არ იქნება წინააღმდეგი, მეც თუ წამოვალ?

მეირე: (ოუენს) რას ამბობს?

ოუენი: (იოლანდს) ვინ უნდა იყოს წინააღმდეგი?

მეირე: (ოუენს) უთხარი?

იოლანდი: (მეირეს) რაო, რაო?

ოუენი: (მეირეს) ხომ შეიძლება, მეც წამოვიდეო?

მეირე: (იოლანდს) შენი გადასაწყვეტია.

იოლანდი: (ოუენს) რა თქვა?

ოუენი: (იოლანდს) ამბობს...

იოლანდი: (მეირეს) რაო, რაო?

მეირე: (ოუენს) ჰა?

იოლანდი: (ოუენს) რაო, რაო?

ოუენი: (იოლანდს) წახვალ?

იოლანდი: (მეირეს) დიახ, დიახ, თუ შეიძლება.

მეირე: (ოუენს) რაო, რა თქვა?

იოლანდი: (ოუენს) რაო, რას ამბობს?

ოუენი: ო, ღმერთო! (*მანუსს, რომელიც ბიდონით ხელში ჩამოდის კიბეზე*) მომეხმარე, მანუს.

მანუსი: სახლამდე მიგაცილებ. დედაშენი შინაა? უნდა დაველაპარაკო.

მეირე: სად გეჩქარება? (ოუენს) შენ არ იყო, სასმელს რო მთავაზობდი?

ოუენი: ანა ნა მბრეიგისას იკადრებ?

მეირე: რატომაც არა.

(იოლანდს უცებ სასმელი დაარტყამს, სკამზე შეხტება, ჭიქას მაღლა სწევს და ყვირის)

იოლანდი: ანა ნა მბრეიგ! ბეილი ბეგ! ინის მეიდჰონ! ბომბეი! ტობეირ ვრეე! ედემის ბალი! და პოტიინი – სწორად ვამბობ, ოუენ?

ოუენი: ყოჩაღ.

იოლანდი: აუჰ, რა მაგარია! ვგიჟდები! ძალიან, ძალიან, ძალიან მაგარია!

(ბოლო სიტყვებთან ერთად შემოდის ცეკვა "რილის" ხმამაღალი მუსიკა, რომელიც სპექტაკლის დასაწყისში ჟღერდა. სიბნელე. მცირე შუალედში მუსიკა ისევ ჟღერს.)

სცენა მეორე

(მომდევნო ღამე.)

მოქმედება შესაძლოა იმავე საკლასო ოთახში ვითარდებოდეს, მაგრამ სასურველია, გარემო განათების გამოყენებით მაქსიმალურად "განეიტრალდეს", რათა ქმედების დიდი ნაწილი მაქსიმალურად თავისუფალ სივრცეში გადმოვიტანოთ, ავანსცენასთან ახლოს. მუსიკის ხმა თანდათან ძლიერდება. შორიდან გვესმის, როგორ გვიახლოვდებიან მეირე და იოლანდი – იცინიან და ხელიხელ ჩაკიდებულები მორბიან. სულ ახლახან გამოსულან ცეკვებიდან. მუსიკა ჩუმდება. საცეკვაო მელოდიას გიტარის ხმები ცვლის. მეირე და იოლანდი წინა პლანზე გამოსულან, ხელჩაკიდებულები, ალგ ზნებულები იმით, რომ მოულოდნელ ვნებას აჰყვენენ, ცეკვებიდან წამოვიდნენ და მარტონი დარჩენილან.)

მეირე: ო, ღმერთო, არხს რომ გადავახტით, მეგონა მოვკვდებოდი.

იოლანდი: ძლივს დაგენიე.

მეირე: მოიცა, სული მოვითქვა.

იოლანდი: გეგონებოდა, თითქოს ვილაცა მოგვდექსო.

(გაია ზრებენ, რომ მარტო არიან და ხელები ერთმანეთისთვის ჩაუკიდიათ – უხერხულობა იბადება. ხელს გაუშვებენ, ერთმანეთს დაშორდებიან. პაუზა)

მეირე: მანუსი ძებნას დამინყებს.

იოლანდი: ნეტავ ვინმემ თუ შეამჩნია, რომ გამოვიპარეთ.

(პაუზა. ცოტათი უფრო მეტად სცილდებიან ერთმანეთს.)

მეირე: ბალახი სველია, ეტყობა. ფეხები დამისველდა.

იოლანდი: ფეხები დაგისველდებოდა, ბალახი სველია.

(კიდევ ერთი პაუზა. კიდევ რამდენიმე ნაბიჯით სცილდებიან ერთმანეთს. ახლა უკვე შორ მანძილზე არიან ერთმანეთისაგან.)

იოლანდი: *(საკუთარ თავზე უთითებს)* ჯორჯი. *(მეირე თავს უქნევს, ვიცო.)*

მეირე: ლეიტენანტი ჯორჯი.

იოლანდი: ეგრე ნუ მეძახი. ლეიტენანტი არა ისა...

მეირე: რაო, რაო?

იოლანდი: როგორ..? *(ისევ თავის თავზე უთითებს)* ჯორჯი.

(მეირე თავს დაუქნევს: ვიცო. მერე საკუთარ თავზე უთითებს)

მეირე: მეირე.

იოლანდი: ჰო, ვიცო, რომ მეირე გქვია. რა თქმა უნდა, ვიცო. დღე და ღამე გაკვირდები, ბოლო რამდენიმე...

მეირე: *(მონდომებით)* რაო, რაო?

იოლანდი: *(უთითებს)* მეირე. *(უთითებს)* ჯორჯი. *(ორივეს უთითებს)* მეირე და ჯორჯი. *(მეირე თავს დაუქნევს, მივხვდიო)* მე... მე... მე...

მეირე: ილაპარაკე. მომწონს შენი ხმა.

იოლანდი: *(მონდომებით)* როგორ? როგორ?

(იოლანდი სასონარკვეთით მიმოიხედავს, თითქოს რაღაც შთაგონებას ეძებს, რაც კომუნიკაციის საშუალებას მისცემს. უცებ აზრი მოუვა: ხმას აუნწევს და ცდილობს სტაკატოებით ილაპარაკოს, თანაბარ და სულელურ მახვილებს უსვამს თითოეულ სიტყვას.)

იოლანდი: ყოველ-დილით-ვხედავ-როგორ-უყრი-საკენკს-ქათმებს-და-აჭმევ-შავ-ბოჩოლას... *(ხვდება, რომ ამაოდ ირჯება)* – ო, ღმერთო!

(მეირე გაუღიმებს. მისკენ გაიწევს. ეცდება, ლათინურად დაამყაროს კომუნიკაცია)

მეირე: Tu es centurio in... in...in exercitu Britannico²²...

იოლანდი: ჰო... ჰო? განაგრძე, მიდი – ილაპარაკე, ილაპარაკე, მომწონს შენი ხმა.

²² (ლათ.) შენ ხარ ცენტურიონი ბრიტანულ ჯარში.

მეირე: ... et es castris quae... quae... quae sunt in agro²³... (*ხედება, რომ ამოოდ ირჯება*) ... ო, ღმერთო!

(*იოლანდი გაულიმებს. მისკენ გაიწევს. იქნებ რაიმე თქვას ინგლისურად.*)

მეირე: ჯორჯ... წყალი.

იოლანდი: “წყალი”? წყალი! ჰო... წყალი... წყალი... ყოჩაღ... წყალი... ყოჩაღ... კარგია.

მეირე: ცეცხლი.

იოლანდი: ცეცხლი... ყოჩაღ... გადასარეგია... ცეცხლი, ცეცხლი, ცეცხლი... შესანიშნავია, შესანიშნავი!

მეირე: აჰ... აჰ...

იოლანდი: ჰო, მიდი, განაგრძე.

მეირე: მინა.

იოლანდი: “მინა”?

მეირე: მინა. მინა.

(*იოლანდს მაინც არ ესმის. მეირე დაიხრება და მუჭით თიხას აიღებს. გაუნვლის*)

მეირე: მინა.

იოლანდი: მინა! ჰო, რა თქმა უნდა – მინა! მინა. მინა. ღმერთო დიდებულო, მეირე, გადასარეგად ლაპარაკობ ინგლისურად!

მეირე: (მონდომებით) რაო, რაო?

იოლანდი: გადასარევი ინგლისური. ინგლისური გადასარევი.

მეირე: ჯორჯ...

იოლანდი: რა მშვენიერია... მართლა მშვენიერია.

მეირე: ჯორჯ...

იოლანდი: კიდევ ერთხელ თქვი... ერთხელაც...

მეირე: შშშ. (*ხელით ანიშნებს, გაჩუმდით – ცდილობს გაიხსენოს ერთადერთი ინგლისური ფრაზა, რომელიც იცის. გაიხსენებს და ისე წარმოთქვამს, თითქოს ინგლისური მისი მშობლიური ენა იყოს – ადვილად, თავისუფლად, ძალდაუტანებლად.*) ჯორჯ, *In Norfolk we besport ourselves around the maypoll*

ჯორჯი: ღმერთო, მართლა? დედაჩემიც ნორფოლკიდანაა. უფრო სწორედ, ნორიჩიდან. მთლად ქალაქ ნორიჩიდან არა, ოლონდ, იქვე ახლოს სოფლიდან, ლითლ უინფართინგიდან. ჩვენს სოფელში, უინფართინგშიც

²³ (ლათ.) და ცხოვრობ/ხარ ველზე გაშლილ ბანაკში.

ვდგამთ ხოლმე მაისის ხეს და ყოველი წლის პირველ მაისს... (მკვეთრად შეჩერდება. მიაშტერდება ქალს. ქალი, თავის მხრივ, ვერ ხვდება, რამ ააღელვებდა ასე.)

მეირე: (თავისთვის) ღვთისმშობელო, იმედია, დეიდაჩემმა მერიმ რაიმე უზრდელური არ მასწავლა.

(პაუზა. იოლანდი ხელებს გაიწვდის მეირესკენ. ქალი ზურგს აქცევს და ნელა მოშორდება, სცენის მეორე კუთხისკენ წავა)

იოლანდი: მეირე. (ქალი კვლავ მიდის) მეირე კატახ. (ქალი ისევ მიდის.) ბუნ ნა ჰაბჰან. (რბილად წარმოთქვამს ამ სახელს, თითქმის ინტიმურად, დიდი მონდომებით, თითქოს ცდილობს, ისეთი ბგერები გამოსცეს, რა ზედაც ქალი უპასუხებს. კიდევ ერთხელ ცდის) დრუიმ დუბჰ? (მეირე ჩერდება. უსმენს. იოლანდი გათამამდება) პოლ ნა გკაორახ. ლის მაოლ. (მეირე მისკენ მოტრიალდება) ლის ნა ნგალ.

მეირე: ლის ნა ნგრადჰ. (ახლა ერთმანეთისკენ პირით დგანან და თითქმის შუემჩნევლად უახლოვდებიან) კარრაიგ ან ფოილ.

იოლანდი: კარრაიგ ნა რი. ლოხ ნა ნეან.

მეირე: ლოხ ან იუბჰაირ. მახაირე ბუიდჰე.

იოლანდი: მახაირე მორ. კნოკ ნა მონა.

მეირე: კნოკ ნა ნგაბჰარ.

იოლანდი: მულლახ.

მეირე: პორტ.

იოლანდი: თორ.

მეირე: ლაგ.

(მეირე ხელებს გაუწვდის იოლანდს. იოლანდი მოეჭიდება. ახლა თითქოს მხოლოდ საკუთარ თავს ელაპარაკებიან.)

იოლანდი: ღმერთო, რას არ მივცემდი, ჩემი რომ გესმოდეს.

მეირე: რბილი ხელები გაქვს; ქალაქელი კაცის ხელები.

იოლანდი: ჩემი რომ გესმოდეს, გეტყოდი, მთელს დღეებზე როგორ ვატარებ შენზე ფიქრში, ან როგორ ვუთვალთვალე შენს სახლს, იმის იმედით, რომ ერთი წამით მაინც გამოჩნდები.

მეირე: ყოველ საღამოს მარტო დასეირნობ ტრა ბჰანთან და ყოველ დილით კარვის წინ პირს იბან.

იოლანდი: გეტყოდი, როგორი ლამაზი ხარ, ხუჭუჭთმიანო მეირე. ო, როგორ მინდა გითხრა, რომ მშვენიერი ხარ.

მეირე: გამხდარი მკლავები გაქვს... და ისეთი თეთრი კანი.

იოლანდი: გეტყოდი...

მეირე: არ გაჩერდე... ვხვდები, რასაც ამბობ.

იოლანდი: გეტყოდი, როგორ მინდა აქ ყოფნა – აქ ცხოვრება – შენთან- სამუდამოდ, სამუდამოდ.

მეირე: "სამუდამოდ"? რას ნიშნავს ეგ სიტყვა – "სამუდამოდ"?

იოლანდი: ჰო, ჰო, სამუდამოდ.

მეირე: კანკალებ.

იოლანდი: ჰო, შენ გამო ვკანკალებ.

მეირე: მეც ვკანკალებ. (ხელებით მის სახეს მოეჭიდება)

იოლანდი: მორჩა, გადავწყვიტე...

მეირე: უუუ!

იოლანდი: აღარ ნავალ აქედან...

მეირე: უუუ... მომისმინე. მეც მინდისხარ, ჯარისკაცი.

იოლანდი: არ გაჩერდე... ვხვდები, რასაც ამბობ.

მეირე: შენთან ერთად ცხოვრება მინდა... სულერთია სად, სულერთია... სამუდამოდ, სამუდამოდ.

იოლანდი: "სამუდამოდ"? რას ნიშნავს ეგ სიტყვა – "სამუდამოდ"?

მეირე: წამიყვანე, ჯორჯ.

(პაუზა. უეცრად ერთმანეთს კოცნიან. შემოდის სარა, დაინახავს მათ. დაზაფრული დგას და მისჩერებია მათ. პირს ამოძრავებს. მერე თითქოს თავისთვის ამბობს)

სარა: მანუს... მანუს!

(სარა გარბის. მუსიკალური კრემჩენდო.)

მესამე მოქმედება

(მომდევნო საღამო. წვიმს.)

სარა და ოუენი საკლასო ოთახში მარტონი არიან. სარა მთლად უპატრონო ბავშვს დამსგავსებია, ზის უზურგო სკამზე და გაშლილი წიგნი კალთაში უდევს. ვითომ კითხულობს, მაგრამ მზერა კიბისკენ გაურბის. ოუენი, როგორც ყოველთვის, ახლაც იატაკზე მუშაობს, რუკებით, წიგნებით და ა.შ. არის გარშემორტყმული. თუმცა, ყურადღების მოკრება უჭირს, გულს ვერ უდებს საქმეს; სარასი არ იყოს, მასაც ზედა სართულისკენ ეპარება მზერა.

რამდენიმე წამში გამოჩნდება მანუსი, კიბეზე ეშვება, მოაქვს ტანმსაცმლით სავსე ქაღალდის პარკი. მკვეთრად და გამიზნულად მოძრაობს. საკლასო ოთახში დადის, წიგნებს იღებს, თითოეულის სათაურს გულისყურით ამოწმებს, დაახლოებით ექვს წიგნს ამოარჩევს და ჩანთაში ჩაილაგებს. სანამ წიგნებს არჩევს:)

ოუენი: ეგ აგურის საამქრო ხომ იცი, მაგ ადგილს მურენს რომ ეძახიან? იცი, რატომ დაერქვა მურენი?

(მანუსი არ პასუხობს.)

ამწუთას მივხვდი, რომ წმინდა მურანუსის სახელის დამახინჯებული ვარიანტია. როგორც ჩანს, წმინდა მურანუსს სადღაც მანდ მონასტერი ჰქონდა მეშვიდე საუკუნის დასაწყისში. და წლებთან ერთად სახელი შემოკლდა და მურენად გადაიქცა. უშნო სახელია, არა? მგონი, ძველ ვარიანტს უნდა დავუბრუნდეთ, წმინდა მურანუსს. შენ რას იტყვი? როგორც ადრე ერქვა – წმინდა მურანუსი. არ ფიქრობ, რომ ძველი სახელის დაბრუნება კარგი აზრია?

(პასუხი არ არის. ოუენი სახელს სახელების წიგნში იწერს. მანუსი ძველ წიგნებში იქექება, თოქს ეძებს. პოულობს. გადატენილ პარკს თავს მოუკრავს – პარკი იხევს და შიგთავსი იატაკზე იყრება.)

მანუსი: ჯანდაბა, ჯანდაბა, ჯანდაბა!

(აღელვებისგან ხმა ეზარება, ლამისაა იტიროს. ოუენი წამოხტება)

ოუენი: მოიცა, მე მაქვს ზევით ჩანთა.

(არბის მეორე სართულზე. სარა ელოდება, სანამ ოუენი თვალს მოეფარება)

სარა: მანუს... მანუს, მე...

(მანუსს ესმის სარას ხმა, მაგრამ არ იმჩნევს. თავის წიგნებს აგროვებს. ოუენი ბრუნდება, ხელში ის ჩანთა უჭირავს, რომლითაც ჩამოვიდა.)

ოუენი: აი, ეს აიღე – მე მაინც აღარ მჭირდება. თან, წყალს არ ატარებს.

(მანუსი რამდენიმე ნივთს გადაალაგებს ჩანთაში. ოუენი თავის სამუშაოს უბრუნდება. მანუსი ამთავრებს ჩაბარებას.)

მანუსი: აქ კიდევ ცოტა ხანს დარჩები, ხო? ერთი-ორი კვირა?

ოუენი: ჰო.

მანუსი: ჯარისკაცებს არ გაჰყვები?

ოუენი: ჯერ არ გადამიწყვეტია. რატომ მეკითხები?

მანუსი: ის ხალხი, ინის მეიდჰონიდან ჩამომაკითხავს, ალბათ, აინტერესებთ, რატომ არ გამოვჩნდი. გადაეცი... გადაეცი, რომ ძალიან მალე მივწერ. უთხარი, რომ ეგ სამუშაო ჯერ კიდევ მინდა, მაგრამ სამი-ოთხი თვე ვერ გავთავისუფლდები.

ოუენი: გაგიჟდი, მანუს?

მანუსი: თხოვნას შემისრულებ?

ოუენი: ახლა თუ გაიქცევი, ლენსი იფიქრებს, რომ ამ საქმეში შენი ხელი ურევია.

მანუსი: შემისრულებ თხოვნას?

ოუენი: რამდენიმე დღე მაინც მოგეცადა. ხო იცნობ ჯორჯს, როგორი შტერი რომანტიკოსია... ალბათ, რომელიმე კუნძულზე წავიდა და ხვალ მოულოდნელად დაგვადგება თავზე. ან კიდევ მღევრები იპოვიან, სადმე ქვიშის დიუნებში ეგდება გალემილი მთვრალი. ხომ გინახავს, იმ ჰოტიინს როგორ სვამდა – არ არის ეგ მიჩვეული სასმელს. ნუხელ, ცეკვების დროს მთვრალი იყო?

მანუსი: მის საძებნელად რომ გამოვედი, ხელში ქვა მეჭირა – მოვკლავ-მეთქი. კოჭლი მასწავლებელი მიძახეთ თქვენ!.

ოუენი: დაგინახა ვინმემ?

მანუსი: *(ისევ მოაწვება ცრემლები)* მაგრამ როცა დავინახე, როგორ იდგა გალიმებული გზის განაპირას – და მეირეს სახე მის მკლავებში ჩაერგო – ვერც კი მიუვახლოვდი. "ნაბიჭვარი ხარ-მეთქი, იოლანდ"- დაუყვირე.. ნეტავ ინგლისურად მეთქვა, ვერ გაიგო და "რაო? რაო?" იძახდა. სხვანაირად უნდა მეთქვა და თან, სხვა ენაზე. რაღაც სისულელე ჩავიდინე.

ოუენი: მას შემდეგ აღარ გინახავს?

მანუსი: "რაო?"

ოუენი: სანამ წახვალ, ეგ ამბავი ლენსის მიუყვივი, შენზე ეჭვი რომ არ აიღონ.

მანუსი: რა მოგუყვებოდა ლენის? იმ ხალხს ხომ გადასცემ, რაც გთხოვ?

ოუენი: გაფრთხილებ: ახლა თუ გაიქცევი, აუცილებლად შენ...

მანუსი: (სარას) შენ გადაეცი დანაბარები იმ ხალხს, კარგი?

სარა: გადავცემ.

(მანუსი ძველ ტომარას იღებს და მხარზე მოიგდებს).

ოუენი: ის მაინც თუ იცი, საით მიდიხარ?

მანუსი: ალბათ, მაიოზე. მახსოვს, დედა გვეუბნებოდა, სადღაც იქ ბიძაშვილები მყავსო. *(ჩანთას აიღებს.)* მამას გადაეცი, რომ მხოლოდ ვირგილიუსი, კეისარი და ესქილე ნავილე, ეგენი ისედაც ჩემი წიგნები იყო – იმ ფულით ვიყიდე, ჩემს გაზრდილ ბატკანში რომ მომცეს. გახსოვს ეგ ბატკანი? კიდევ გადაეცი, რომ ნორა დენს ლექსიკონი არ დაუბრუნებია და თან ორი ფუნტი და ექვსი პენსი ვალი აქვს, წინა კვარტლის, კითხვის გაკვეთილებისთვის – მამას სულ ავინწყდება ხოლმე ასეთი რამეები.

ოუენი: კარგი.

მანუსი: პერანგები გავუუთოვებ, კარადაში დავკიდებ, სუფთა წინდები კი ლოგინის ქვეშ, ყუთშია.

ოუენი: კარგი.

მანუსი: გადაეცი, რომ წერილს გამოვუგზავნი.

ოუენი: მეირემ რომ იკითხოს, სად წავიდაო...?

მანუსი: მამას იმდენი რაღაცეა აღარ დაჭირდება – ჩაის ურძეოდ სვამს. *(პაუზა)* ღამე რომ დაბრუნდება, აუცილებლად გაიგონებ; ძალიან ხმაურობს ხოლმე – ჩამოვდივარ და ვეხმარები კიბეზე ასვლაში. კიბეს მოაჯირი არა აქვს და საშიშია. სანამ ნახვალ, იქნებ ვინმეს მოაჯირი გააკეთებინო. *(პაუზა)* და ცხოზა თუ შეგიძლია, ხარშუნა პური უყვარს.

ოუენი: ფულს მოგცემ, თუ გინდა. მდიდარი ვარ. იცი, რამდენს მიხდინა? დღეში ორ შილინგს ამ... ამ... ამ... *(მანუსი შემოთავაზების უარყოფის ნიშნად ორივე ხელს წინ სწევს)* მშვიდობით, მანუს.

(მანუსი და ოუენი ხელს ჩამოართმევენ ერთმანეთს. შემდეგ მანუსი სწრაფად აიტაცებს ჩანთას და კარისკენ მიდის. რამდენიმე ნაბიჯით გასცდება სარას, მოტრიალდება და მასთან მოდის. ისევე მიმართავს, როგორც პირველ მოქმედებაში, მაგრამ ამჯერად ხმაში სიტბო და ზრუნვა აკლია)

მანუსი: რა გქვია? *(პაუზა)* ჰა, მიდი. რა გქვია?

სარა: მე მქვია სარა.

მანუსი: მხოლოდ სარა? რა გვარი ხარ, სარა? (პაუზა) ჰა?

სარა: სარა ჯონი სალი.

მანუსი: და სად ცხოვრობ? მიდი-მეთქი.

სარა: მე ვცხოვრობ ბუნ ნა ჰაბჰანში. (უხმოდ ატირდება)

მანუსი: ყოჩაღ, სარა ჯონი სალი. შენ ამქვეყნად ველარაფერი შეგაჩერებს. (პაუზა. ზემოდან დახედავ ქალს) დანყნარდი... დანყნარდი... შენ არაფერი დაგიშავებია... არაფერი... (დაიხრება, თავზე აკოცებს – თითქოს მიტევების ნიშნად. მერე სწრაფი ნაბიჯით მიდის კარისკენ და უჩინარდება.)

ოუენი: მშვიდობით, მანუს!

სარა: (ჩუმად) მაპატიე... მაპატიე... მაპატიე, მანუს...

(ოუენი სამუშაოს გულს ვერ უდებს. რუკის აკეცვას იწყებს.)

ოუენი: ამ საღამოს გაკვეთილი ტარდება? (სარა თანხმობის ნიშნად თავს დაუქნევს)

იმედია, მამაჩემმა იცის. მოიცა, სად არის ახლა?

(სარა ბავშვის რწევას განასახიერებს)

ვერ გავიგე... სადო?

(სარა იმავს იმეორებს და ცრემლებს იმშრალებს. ოუენი ისევ დაბნეულია)

კარგი, არა უშავს. გამოჩნდება, სად წავა.

(შემოდინან ბრიჯიტი და დოულთი, თავზე წვიმისგან დასაცავად ტომრები გადაუფარებიათ. განზრახ ხმაურობენ ჩვეულებრივზე მეტად, აცუნდრუკებულები არიან – ჭორები მოიტანეს)

დოულთი: რა გამოტოვეთ, რო იცოდეთ, ძმებო! რა გამოტოვეთ! ერთი საათის წინ კიდევ ორმოცდაათი ჯარისკაცი ჩამოიყვანეს!

ბრიჯიტი: შონ ნილიდან ლაგამდე გადაჭიმეს რიგი და მინდვრების გადავლით კნოკ ნა ნგაბჰარისკენ მიდიან!

დოულთი: ერთი მისხალი არ დაუტოვებიათ შეუმონმებელი, ხიშტებით დათხარეს მინა, სულ დააფრთხეს საქონელი და ქათმები!

ბრიჯიტ: სულ გადააქოთეს ყველაფერი, რაც გზაზე შეხვდათ – ღობეები, თივის ზვინები, ტორფის გროვები ააყირავეს!

- დოულთი:** ბარნი პიტის ხორბლის ყანა ისე გადათელეს, გეგონება სარეველებიანი მინდორი იყოსო!
- ბრიჯიტი:** ერთი ღერო თავთავიც არ დატოვეს!
- დოულთი:** ბარნი პიტი სანოლიდან წამოხტა, გაგიჟებული დარბოდა და უყვიროდა: "გაეთრიეთ ჩემი ყანიდან, თქვე ბოზებო!"
- ბრიჯიტი:** ამდენი ცხოვრებაში არ ურბენია.
- დოულთი:** რატო არ აიღო დროზე მოსავალი, დაეზარა მაგ ქლიავს.
- (სარა სკამების დალაგებას იწყებს)*
- ბრიჯიტი:** მამამისის ამბავიც მოუყევი.
- დოულთი:** შენი მოხუცი უნდა გენახა, ოუენ.
- ბრიჯიტი:** ყველანი ანნა ნა მბრეიგის პაბში იყვნენ – ქელეხიდან წამოსული მთელი ხალხი...
- დოულთი:** ხმაური მოესმათ და ქუჩაში გამოცვივდნენ...
- ბრიჯიტი:** წინ მამაშენი მოუძლოდათ, უკან ჩვენი ფეხშიშველი ვუნდერკინდი მოსდევდა!
- დოულთი:** და შენმა მოხუცმა რო დაინახა, ჯარი როგორ შესეოდა იქაურობას...
- ბრიჯიტი:** ო, ღმერთო!
- დოულთი:** ისე დაულრიალა იმათ!
- ბრიჯიტი:** "ბარბაროსებო! ჰუნებო! ვანდალებო!" ჯიმი ჯეკი მთლად გაგიჟდა და ეგეც აყვირდა: "თერმოპილები! თერმოპილები!"
- დოულთი:** ეგეთი არაფერი ცხოვრებაში არ გენახოთ. წამომყევი, სარა, და შენი თვალით ნახავ ყველაფერს.
- ბრიჯიტი:** დღეს მამაშენს გაკვეთილის ჩატარების თავი აღარ ექნება. მანუსი აქაა?
- ოუენი:** მანუსი წავიდა.
- ბრიჯიტი:** სად წავიდა?
- ოუენი:** გაემგზავრა – წავიდა.
- დოულთი:** საით?
- ოუენი:** თვითონაც არ იცის. ალბათ, მაიოზე.

- დოულთი:** მაიოზე რალა ხდება?
- ოუენი:** (ბრიჯიტს) ნუხელ, ცეკვებზე, ხომ არ დაგინახავს, ჯორჯი და მეირე კატახი ერთად როგორ გამოვიდნენ?
- ბრიჯიტი:** დავინახეთ. არა, დოულთი?
- ოუენი:** ის თუ დაინახეთ, მანუსი როგორ გამოედევნა იმათ?
- ბრიჯიტი:** გასვლა არ დამინახავს, მაგრამ მარტო როგორ დაბრუნდა მოგვიანებით, ეგ კი მახსოვს.
- ოუენი:** ჯორჯი და მეირე აღარ დაბრუნებულან ცეკვებზე?
- ბრიჯიტი:** არა.
- ოუენი:** მეტად აღარ გინახავს ეგენი?
- ბრიჯიტი:** ჯორჯმა სახლამდე მიაცილა. გვერდით ჩავუარეთ უკანა გზაზე, არა, დოულთი?
- ოუენი:** და მანუსი ცეკვებზე ბოლომდე დარჩა?
- დოულთი:** ჩვენ არაფერი არ ვიცი. რატომ გვეკითხები?
- ოუენი:** იმიტომ, რომ ლენსი მე დამკითხავს, მანუსის ნასვლას რომ გაიგებს. (ბრიჯიტს უბრუნდება) ანუ, ჯორჯი როგორ დაბრუნდა შინ? უკანა გზით? მანდ დაინახე?
- ბრიჯიტი:** თავი დამანებე, ოუენ. იოლანდის ამბავი მე რა ვიცი. დონელის ტყუპებს ჰკითხე, თუ მაინცდამაინც.
- (სიჩუმე. დოულთი ფანჯარასთან მიდის.)*
- ბრიჯიტი:** (სარას) რა მაგარი მევიოლინეა ეგ ო'შიი, არა? ჩვენი შეიმასისთვის უთქვამს, ჰელოუნის ღამეს კიდევ ჩამოვალ თქვენთანო.
- (ოუენი უახლოვდება დოულთის, რომელიც დაჟინებით იყურება ფანჯრიდან.)*
- ოუენი:** დონელის ტყუპები? (პაუზა) ეგენიც იქ იყვნენ ნუხელ?
- დოულთი:** არ დამინახავს. (თავისთვის უსტვენს)
- ოუენი:** ჯორჯი ჩემი მეგობარია.
- დოულთი:** ვიცი.
- ოუენი:** უნდა ვიცოდე, რა დაემართა.
- დოულთი:** ვერაფერს ვერ გეტყვი.

ოუენი: დონელის ტყუპები რა შუაში არიან? (პაუზა) დოულთი!

დოულთი: მე არაფერი არ ვიცი, ოუენ – საერთოდ არაფერი – ღმერთს გეფიცები. ერთი ეს ვიცი, ცეკვებზე როცა მივდიოდი, მაგათი ნავი პორტში ეყენა. მერე ბრიჯიტი სახლამდე მივააცილე, უკანა გზაზე ნავი იქ უკვე აღარ იდგა. სულ ეგაა, რაც ვიცი. ღმერთია მონმე. შენს მეგობარს, ჯორჯს სულ რამდენჯერმე შევხვედრივარ და არცერთი მაგისი ნათქვამი სიტყვა არ მესმოდა, მაგრამ მაინც ეტყობოდა, რო არ იყო ცუდი ბიჭი... (უეცრად გადაჭარბებით ინტერესდება გარეთ მიმდინარე მოვლენებით) ჯანდაბა, აქაც მოუღწევიათ! რამდენი არიან, მილიონი?! გადაატრიალეს აქაურობა!

(ოუენი მოეცლება. შემოდის მეირე. თავშიშველია, წვიმას დაუსველებია, თმა აწენილი აქვს. ცდილობს, ჩვეულებრივად გამოიყურებოდეს, მაგრამ საშინლად შეშფოთებულია, ლამის ნერვული შეტევის ზღვარზეა. ხელში რძის ბიდონი უჭირავს.)

მეირე: ღმერთო, სულ გამოვშტერდი. შუა გზაზე დავფიქრდი, ეს ბიდონი ძალიან მსუბუქია-მეთქი. ხოდა, ჩავიხედე და ცარიელი არ ყოფილა?

ოუენი: არა უშავს.

მეირე: ამაღამ რძე არ გინდათ?

ოუენი: საკმარისად დაგვრჩა.

მეირე: მართლა?

ოუენი: კი, ბლომადაა. გმადლობ.

მეირე: უცებ გავვარდები უკან და მოგიტანთ.

ოუენი: მეირე, არ შენუხდე.

მეირე: არ ჯობია, თქვენ დალიოთ ეგ რძე, ვიდრე იმ შავმა ბოჩოლამ... რომელიც... *(მიმოიხედავს)* რაიმე ხომ არ გაგიგიათ?

ოუენი: არაფერი.

მეირე: ლენსი რას ამბობს?

ოუენი: დილის აქეთ აღარ მინახავს.

მეირე: რაო, რას ფიქრობს?

ოუენი: წესიერად არც გვილაპარაკია.

მეირე: სახლამდე მიმაცილა, ოუენ. და უკანასკნელი სიტყვები, რაც მითხრა... ცდილობდა, ირლანდიურად ელაპარაკა ... ასე მითხრა: “გუშინ გნახავო”, უნდოდა ეთქვა, “ხვალ გნახავო.” ისე ხმამაღლა გამეცინა, რომ ეწყინა და ვითომ გამებუტა, მერე დამცინა “მეიპოლ! მეიპოლ!”, მე ხომ ამ სიტყვას

არასწორად ვამბობდი. და წავიდა, სულ სიცილ-სიცილით, ოუენ! როგორ გგონია, კარგადაა? შენ როგორ გგონია?

ოუენი: დარწმუნებული ვარ, გამოჩნდება.

მეირე: ერთი ციციქნა სოფლიდანაა, უინფართინგიდან. *(უეცრად ოთხზე დაეცემა, სწორედ იქ, სადაც ოუენს რამდენიმე წუთის წინ რუკა ჰქონდა გაშლილი, და ცდილობს იატაკზე რუკის კონტურები მოხაზოს.)* მოდი აქ, შეხედე. შეხედე. აი, უინფართინგი. აი, კიდევ ორი-სამი სოფელი, იქვე. ერთს ქვია ბარტონ ბენდიში – აი, აქაა. მეორეს საქსინგჰემ ნეზერგეითი – ცოტა მაღლა. ეს კიდევ, ლითლ უოლსინგჰემი – ეს დედამისის სოფელია. რა უცნაური სახელებია, არა? წარმოდგენა არა მაქვს, რას ნიშნავს ეგ სახელები. უინფართინგი კი დიდ ქალაქთანაა ახლოს, ნორიჩთან. ნორიჩი კი მდებარეობს ნორფოლკის საგრაფოში. ნორფოლკი მდებარეობს აღმოსავლეთ ინგლისში. სველ ქვიშაზე დამინატა რუკა და სახელები მიაწერა ზედ. ყველაფერი აი, აქ მაქვს, თავში: უინფართინგი – ბარტონ ბენდიში – საქსინგჰემ ნეზერგეითი – ლითლ უოლსინგჰემი – ნორიჩი – ნორფოლკი. უცნაურად ჟღერს, არა? მაგრამ ლამაზად; თითქოს ჯიმი ჯეკი ჰომეროსს კითხულობსო. *(წამოდგება და მიმოიხედავს; თითქმის სრულიად დამშვიდებული ჩანს)* *(სარას)* წუხელ ისეთი ლამაზი იყავი, სარა. ეგ კაბა ბოსტონიდან გამოგიგზავნეს? მწვანე ფერი ძალიან გიხდება. *(ოუენს)* რაღაც საშინელება დაემართა, ოუენ. ვიცი. აუცილებლად გამაფრთხილებდა, ისე არ წავიდოდა. სად არის, ოუენ? შენ ხომ მისი მეგობარი ხარ ... სად არის? *(ისევ მიმოიხედავს ოთახში; შემდეგ ჯორჯოზე ჩამოჯდება)* წუხელ გეოგრაფია ვერ ვიმეცადინე. *(ისევ წამოდგება)* აჯობებს, სახლში წავიდე ახლა. პატარები დასაბანი მყავს, მერე უნდა დავაძინო და იმ შავ ბოჩოლას საჭმელი უნდა ვაჭამო... ხელები გამიუხებდა; თივამ კოჭრები დამიტოვა. როგორ მრცხვენია. ღმერთო, იმედია, ბრუკლინში მაინც არ მომიწევს თიბვა. *(კართან შეჩერდება)* იცი? ნელი რუადჰის ბავშვი მომკვდარა წუხელ, შუალამისას. ქელებში უნდა წავიდე. დიდხანს ვერ იცოცხლა, არა?

(მეირე გადის. სიჩუმე.)

ოუენი: არა მგონია, დღეს გაკვეთილი ჩატარდეს. ასე რომ, იქნებ...

(ოუენი თავის ტექსტებს აკრეფს. დოულთი მიუახლოვდება)

დოულთი: დიდი ხანია, რაც წავიდა მანუსი?

ოუენი: ნახევარი საათია.

დოულთი: გიჟია რა.

ოუენი: მეც მაგას ვეუბნებოდი.

დოულთი: ამათ გაიგეს, რომ წავიდა?

ოუენი: ვინ ამათ?

დოულთი: ჯარისკაცებმა.

ოუენი: ჯერ არა.

დოულთი: მეძებარი ძაღლებივით კვალში ჩაუდგებიან. გიჟი ეგ, გიჟი კიდევ კოჭლობით მიუყვება ალბათ სანაპიროს. ერთ ღამეში დაენევიან.

(დოულთი ფანჯარასთან ბრუნდება. შემოდის ლენსი – ნამდვილი მეთაურია.)

ოუენი: რაიმე ახალი ხომ არ გაგიგიათ?

(ლენსი ოთახის ცენტრისკენ მიდის და იქაურობას ათვალიერებს).

ლენსი: როგორც ვიცი, აქ გაკვეთილი უნდა ტარდებოდეს. დანარჩენები სად არიან?

ოუენი: უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ მამაჩემი...

ლენსი: არა უშავს, ესენიც მეყოფა. შევატყობინებ, რა მოხდა და პასუხისმგებლობა დაეკისრებათ, ამ ოლქის ყველა ოჯახს მიანვდინონ ჩემი სათქმელი.

(ლენსი ანიშნებს ოუენს, თარგმნეო. ოუენი ყოყმანობს, ცდილობს შეაფასოს, რას მოასწავებს ლენსის თავდაჭერასა და მანერებში ეს ცვლილება.)

ლენსი: მეჩქარება, ო'დონელ.

ოუენი: კაპიტანს უნდა, რაღაც შეგატყობინოთ.

ლენსი: ლეიტენანტი იოლანდი დაიკარგა. ამჟამად ვეძებთ. თუ ვერ ვიპოვით, ან თუ ვერ მივიღებთ ინფორმაციას, სად შეიძლება მისი პოვნა, მივმართავ შემდეგ ლონისძიებებს.

(ანიშნებს ოუენს, თარგმნეო)

ოუენი: ჯორჯს ეძებენ. თუ ვერ იპოვიან...

ლენსი: ამ წუთიდან მოყოლებული ოცდაოთხ საათში, დავხოცავთ ბელიბეგის მოსახლეობის მთელ საქონელს. *(ოუენი ლენსის მიაშტერდება)*

ოუენი: ხვალ ამ დროისთვის ბეილი ბეგში ყველა ცხოველს განყვეტენ... თუ არ ვეტყვით, სადაა ჯორჯი.

ლენსი: თუ ეს შედეგს არ გამოიღებს, ამ წუთიდან ორმოცდარვა საათში მაცხოვრებლების გასახლებას დავიწყებთ და მიწასთან გავასწორებთ ყველა ნაგებობას...

ოუენი: არა, თქვენ ამას...

ლენსი: საქმეს მიხედვ. თარგმნე.

ოუენი: თუ მაინც ვერ იპოვიან, ორ დღეში ხალხს გაასახლებენ და მიწასთან გაასწორებენ ყველა სახლს შემდეგ სოფლებში:

(ლენსი სიას კითხულობს)

ლენსი: სუაინფორტი.

ოუენი: ლის ნა მუკ.

ლენსი: ბარნფუტი.

ოუენი: ბუნ ნა ჰაბჰან.

ლენსი: დრომდაფი.

ოუენი: დრუიმ დუბჰ.

ლენსი: უიათფლეინზი.

ოუენი: მახაირე ბან.

ლენსი: ქინგზ ჰედი.

ოუენი: კნოკ ნა რი.

ლენსი: თუ ამასობაში ლეიტენანტს ვერ იპოვიან, მანამ გავაგრძელებთ, სანამ მთელი თემი არ განადგურდება.

ოუენი: თუ იოლანდს მაინც ვერ იპოვიან, მთელ თემს გაანადგურებენ.

ლენსი: იმედი მაქვს, კარგად ხვდებიან, რაც უნდა გააკეთონ. *(მიანიშნებს ბრიჯიტზე)* შენ გიცნობ. ვიცი, სადაც ცხოვრობ. *(მიუთითებს სარაზე.)* შენ ვინ ხარ? რა გქვია?

(სარა პირს აღებს, დამუნავს, აღებს, დამუნავს. სახე ეღრიცება)

რა გქვია-მეთქი?

(სარა გამეტებით ცდილობს)

ოუენი: მიდი, სარა, უთხარი.

(მავრამ სარას არ შეუძლია. და ხვდება, რომ ვერ შეძლებს. პირს მუნავს. თავს ჩახრის.)

ოუენი: სარა ჯონი სალი ჰქვია.

ლენსი: სად ცხოვრობს?

ოუენი: ბუნ ნა ჰაბჰანში.

ლენსი: სადო?

ოუენი: ბარნფუტში.

ლენსი: შენს ძმას უნდა დაველაპარაკო – აქ არის?

ოუენი: ამჟამად არა.

ლენსი: სად არის?

ოუენი: ქელეხშია.

ლენსი: რა ქელეხში?

(დოულთი, რომელიც მთელი ეს დრო ფანჯარაში იყურებოდა, ალაპარაკდება – მშვიდად, განონასწორებულად.)

დოულთი: გადაეცი, რომ მაგის ბანაკს ცეცხლი უკიდია.

ლენსი: შენ რა გქვია? (ოუენს) ეს კაცი ვინაა?

ოუენი: დოულთი დენ დოულთი.

ლენსი: სად ცხოვრობს?

ოუენი: ტულახ ალენში.

ლენსი: ჩვენ რას ვეძახით მაგ ადგილს?

ოუენი: ფეარ ჰილს. თქვენს ბანაკს ცეცხლი უკიდიაო, ასე თქვა.

(ლენსი ფანჯარასთან მივარდება, გაიხედავს. მერე დოულთის მიეჭრება)

ლენსი: მე შენ დაგიმახსოვრებ, დოულთი. (ოუენს) იცოდე, შენც გეკისრება პასუხისმგებლობა ამ ყველაფერზე. (გადის)

ბრიჯიტი: ღვთისმშობელი მარიამ, ეს ყველაფერი სერიოზულად თქვა, ოუენ?

ოუენი: კი.

ბრიჯიტი: საქონელი სადმე უნდა გადავმალოთ, იქნებ გამოქვაბულებში – ჩვენი შეიმასი მოიფიქრებს რამეს. წავიდეთ, დოულთი! წავიდეთ! რას დამდგარხარ მანდ!

(დოულთი ადგილიდან არ იძვრის. ბრიჯიტი კართან მიიბრუნს და უცებ შეჩერდება. ჰაერს დაყნოსავს. პანიკაში ვარდება)

ბრიჯიტი: ტკბილი სუნი! ვერ გძნობთ? ტკბილი სუნია! ღმერთო, კარტოფილის მოსავალი!

დოულთი: ინგლისელების კარვები იწვის, ბრიჯიტი.

ბრიჯიტი: მართლა? დარმნუნებული ხარ? მართლა ეგაა? ღმერთო, მეგონა, მთლად დავიღუპეთ. წამოდი! წამოდი!

(გარბის. ოუენი უახლოვდება სარას, რომელიც წასასვლელად ემზადება)

ოუენი: როგორა ხარ? კარგად ხარ? *(სარა თანხმობის ნიშნად თავს დაუქნევს)* არ ინერვიულო. აუცილებლად ალაპარაკდები. *(სარა თავს გაიქნევს)* ისევ ალაპარაკდები. ახლა აღელვებული ხარ, შეგაშინა იმან. სულ ეგაა.

(სარა ისევ გაიქნევს თავს, ამჯერად ნელა და თანაგრძნობით გაუღიმებს ოუენს. გადის. ოუენი თავის ნივთებს აგროვებს. დოულთი ფანჯარას მოშორდება და მასთან მივა.)

დოულთი: როგორ გგონია, მუქარას შეასრულებს?

ოუენი: თუ მანამდე იოლანდი ვერ იპოვეს, კი.

დოულთი: ჰაჰა!

ოუენი: მაშინ, შეასრულებენ.

დოულთი: ბაბუაჩემის ბიჭობაში ეგრე უქნიათ ერთხელ. *(მშვიდად, ყოველგვარი ირონიის გარეშე)* არადა, რამდენი ინვალე, რუკები ხატე, ახალი სახელები მოიგონე.

(ოუენი ცდილობს, საქმით დაკავდეს. პაუზა.)

დოულთი: *(თითქმის მეოცნებე ხმით)* მე ბევრი არაფერი მაქვს დასაცავი, მაგრამ უბრძოლველად არ დავნებდები. და ჩემსავით კიდე ბევრი ფიქრობს.

ოუენი: ეგ არ იქნება იოლი საქმე.

დოულთი: ყველა ერთად დგომა რომ შეგვეძლოს, თავს როგორმე დავიცავდით.

ოუენი: კარგად განვრთნილი ჯარისგან?

დოულთი: დონელის ტყუპები ერკვევიან მაგაში.

ოუენი: მაგათ თუ მიაგნებთ, კი ...

დოულთი: ჰო, თუ მივაგნებთ. *(კარისკენ მიდის)* ლენსისთან რომ მორჩები, დამიძახე. მანამდე იქნებ რაიმე გავარკვიო. *(გადის)*

(ოუენი აიღებს სახელების წიგნს. ერთი წამით დახედავს, ხელში ახოხოლავებული წიგნების გროვაზე ზემოდან შემოიღებს. წიგნი იატაკზე უვარდება. დაიხრება ასაღებად ... შეყოყმანდება და იქვე ტოვებს. მეორე სართულზე ადის.)

ოუენის ჩამოსვლასთან ერთად ჰიუ და ჯიმი ჯეკი შემოდიან. ორივენი გალუმბულები და მთვრალეები არიან. ჯიმი ფეხზე ძლივს დგას. ფეხარეული მოჰყვება ჰიუს უკან, ცდილობს, სიტყვაში ჩაეჩრას. ჰიუც ასეთივე მთვრალია, მაგრამ უფრო გამოცდილია ლოთობაში: მისი გონების ნაწილი მაინც ინარჩუნებს სიფხიზლეს.)

ჰიუ: ჰოდა, ის იყო, წესისა და რიგისამებრ ვაპირებდი მგლოვიარე დედისთვის სამძიმარი მეთქვა, რომ...

ჯიმი: ჰიუ...

ჰიუ: ... და შემებღიჯებინა domus lugubris – ში... აბა, მეირე კატახ?

ჯიმი: ჭირისუფლის სახლში.

ჰიუ: სწორია... უცებ, ვიღაცამ ხელი ჩამავლო: ჩვენი მოსამართლე, ჯორჯ ალექსანდერი იყო. "infelicitous" ცნობები მაქვსო. ... აბა, ბრიჯიტ? ძალიან აგვიანებ. დოულთი?

ჯიმი: infelix – უბედური.

ჰიუ: სწორია, უბედური. "ახალ საჯარო სკოლაში მასწავლებლად ბარტლი ტიმლინი დანიშნესო." "ტიმლინი? ეგ ვინლაა?" – 'კორკის სკოლის დირექტორი, ჩვენი თემისთვის ეგ კაცი დიდი შენაძენია, თანაც, მთელს ოლქში მაგაზე უკეთ შაშხს ვერავინ ამზადებსო!"

ჯიმი: ჰიუ...

ჰიუ: ჰაჰაჰაჰა! კორკელი მეშაშხე! Barbarus hic ego sum quia non intelligor ulli... აბა, ჯეიმს?

ჯიმი: ოვიდიუსი.

ჰიუ: Procede.

ჯიმი: "ბარბაროსი ვარ ამ ქვეყანაში, რადგან აქ ჩემი არავის ესმის."

ჰიუ: სწორია... (ყვირის) მანუს! ჩაი! სატირულ ლექსს შევთხზავ მაგ მასწავლებელ ბარტლი ტიმლინზე, სკოლის დირექტორსა და მეშაშხეზე. თუმცა, ჩიტი ბრდღვნად არა ღირს, არა? (ყვირის) მაგარი ჩაი დამიყენე! შავი!

(ჰიუს ყურადღების მისაპყრობად ჯიმის ისღა დარჩენია, წინ გადაუდგეს და ხელები ასწიოს)

- ჯიმი:** მომისმინე, ერთი ნუთით, ჰიუ!
- ჰიუ:** ჯეიმს. (ყვირის) და ერთი ნაჭერი პურიც მოაყოლე.
- ჯიმი:** ცოლს ვირთავ.
- ჰიუ:** ოჰო!
- ჯიმი:** საშობაოდ.
- ჰიუ:** შესანიშნავია.
- ჯიმი:** ათენას ვირთავ ცოლად.
- ჰიუ:** ვის?
- ჯიმი:** ათენა პალადას.
- ჰიუ:** Glaukopsis Athene?
- ჯიმი:** თვალსხივოსან ათენას, ჰიუ, თვალსხივოსანს. *(იმავე შესტს იმეორებს ყურადღების მისაპყრობად, მერე თითქოს სპაზმი ემართება, სახეზე ტკივილნარევი ექსტაზი შეჰყინვია – მაგრამ ამჯერად სხეული აღარ ემორჩილება. შესტი გროტესკულია.)*
- ჰიუ:** ქალბატონი თანახმაა?
- ჯიმი:** აქეთ მთხოვა და მე დავეთანხმე.
- ჰიუ:** ეგ როდის მოხდა?
- ჯიმი:** ნუხელ.
- ჰიუ:** დედამისი რას ამბობს?
- ჯიმი:** ჰელენესპონტელი მეთისი? ნესიერი ხალხია – კარგი წარმომავლობის.
- ჰიუ:** და მამამისი?
- ჯიმი:** ზევსს ხვალ უნდა შევხვდე. ჰიუ, ხელისმომკიდედ გამომყვები?
- ჰიუ:** რა პატივია, ჯეიმს. უდიდესი პატივია.
- ჯიმი:** ხო იცი, რაც მჭირდება, არა, ჰიუ? ხო იცი, მე... მე.. მე... ახლა მეც ვხუმრობ, ხო ხვდები? *(ისევ ცდილობს პათეტიკური შესტის გამეორებას, მაგრამ იმწამსვე წყვეტს)* შენც კარგად იცი, არა, ჰიუ? ყველაფერი იცი შენ. მაგრამ სინამდვილეში რაც მჭირდება, ჰიუ... მართლა მჭირდება მეგობარი, ჰიუ – ამ ასაკში, ამხანაგი, მეგობარი, ვისაც დაველაპარაკები ხოლმე. შენ ხომ წარმოდგენა არა გაქვს, იქ, მალლა, ბეინ ნა გაიოთში რა მარტოსულად

ვგრძნობ თავს. ურთიერთობა მჭირდება, ჰიუ, ურთიერთობა. არა ვარ მართალი?

ჰიუ: მართალი ხარ.

ჯიმი: თან, ეგ ქალი ყოველთვის მომნონდა, ჰიუ, ეგრე არაა?

ჰიუ: ეგრეა, ჯეიმს.

ჯიმი: ვილაცა, ვისაც დაველაპარაკები ხოლმე.

ჰიუ: ნამდვილად.

ჯიმი: სულ ეგაა, ჰიუ. მორჩა, სულ ეგაა. ახლა ყველაფერი იცი, ჰიუ. ყველაფერი გითხარი.

(ბოლოს სიტყვებზე ჯიმის ეტირება, თავს იქნევს, ცდილობს ნონასწორობა შეინარჩუნოს, თითო ტუჩებთან მიაქვს, თითქოს ამით საიდუმლოებისა და ინტიმურობის რაღაც აბსურდულ შესტს აკეთებს. მერე გვერდით გაბარბაცდება, ცდილობს, ჯორჯოზე დაჯდეს, ასცდება, იატაკზე ჩაცურდება, ფეხები წინ გამოშლია, ზურგით დამტვრეულ ურემს ეყრდნობა. თითქმის იმწამსვე ჩაეძინება.)

ჰიუ ამ ყველაფერს უცქერს. მერე ჯიმიდან ბოთლს იღებს და ის-ის არის, უნდა დაისხას, რომ იატაკზე სახელების წიგნს შეამჩნევს. აიღებს და გადაფურცლავს, თან უცხო სახელებს წარმოთქვამს. ახალი დაწყებული აქვს ეს საქმიანობა, როცა ოუენი გამოჩნდება და კიბეზე ჩამოდის, თან ფინჯანი ჩაი მოაქვს.)

ჰიუ: ბელიბეგი. ბარნფუტი. ქინგ ზ ჰედი. უაითფლეინზი. ფეარ ჰილი. დუნბოი. გრინ ბენქი.

(ოუენი ხელიდან გამოსტაცებს წიგნს)

ოუენი: მომეცი აქ. (ბოდიშის ინტონაციით) უბრალოდ, დასახელებების კატალოგია.

ჰიუ: ვიცი, რაც არის.

ოუენი: შეცდომა... ჩემი შეცდომა... იმედია, ჩაი შენ რომ გიყვარს ისეთი მაგარია. (წიგნს მაგიდაზე მიაგდებს და ჯიმისკენ მიდის) ჯიმი, გაიღვიძე, ჯიმი. გაიღვიძე, ადამიანო.

ჯიმი: რა იყო? რა... რა..?

ოუენი: აი, დალიე. მერე სახლში წადი. არეულობა იწყება. გესმის, ჯიმი? არეულობა იწყება-მეთქი.

ჰიუ: *(სახელების წიგნზე ანიშნებს)* ეს ახალი სახელები უნდა ვისწავლოთ.

ოუენი: *(რაღაცას ეძებს)* აქ ტომარა ხომ არ დაგინახავს?

ჰიუ: ხომ უნდა ვიცოდეთ, სად ვცხოვრობთ. ეს სახელები ჩვენად უნდა ვაქციოთ. ეს უნდა გახდეს ჩვენი ახალი სახლი.

(ოუენი ტომარას პოულობს და მხარზე მოიგდებს)

ოუენი: მე ვიცი, სადაც ვცხოვრობ.

ჰიუ: ჯეიმსსაც ეგრე ჰგონია, რომ იცის. ჯეიმსს რომ ვუყურებ, სამი აზრი მიჩნდება. პირველი: არც წარსული, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, და არც ისტორიული “ფაქტები” არ გვაყალიბებს ჩვენ, არამედ მხოლოდ ენაში აღბეჭდილი ამ წარსულის ხატებები. ჯეიმსი ამ განსხვავებას უკვე ვეღარ ამჩნევს.

ოუენი: ჭკუას ნუ მასწავლი, მამა.

ჰიუ: მეორე – ეგ ხატებები გამუდმებით უნდა განვაახლოთ ხოლმე, თორემ როგორც კი გავჩერდებით, გაქვავება არ აგვცდება. პურის ნაჭერი არა გვაქვს?

ოუენი: და მესამე, მამა – ერთი ურყევი და ნამდვილი “ფაქტი”: თუ იოლანდს ვერ იპოვიან, აქედან ყველას გაგვასახლებენ. ლენსიმ ბრძანება გამოსცა.

ჰიუ: აჰ. Edictum imperatoris²⁴.

ოუენი: ეგ სველი ტანსაცმელი გამოიცვალე. მე მივდივარ. დოულთის უნდა შევხვდე.

ჰიუ: რა საქმეზე?

ოუენი: მალე დავბრუნდები.

(სანამ ოუენი გადის)

ჰიუ: თავს გაუფრთხილდი, ოუენ. ყველაფრის დამახსოვრება სიგიჟის ერთ-ერთი ფორმაა. *(ოთახს ყურადღებით მოათვალიერებს, თითქოს მის სამუდამოდ მიტოვებას აპირებსო. შემდეგ მძინარე ჯიმის გადახედავს)* სლიგოს გზა. გაზაფხულის დილა, 1798 წელი. ბრძოლისთვის მზად ვართ. გახსოვს, ჯეიმს? მაშინ მთლად ახალგაზრდები ვიყავით, მხრებზე გრძელი შუბები გვეკიდა და ჯიბეში “ენეიდა” გვედო. იმ გაზაფხულს გვეჩვენებოდა, რომ ყველაფერი ცხადი და ჰარმონიულია, სასწაულებრივად შერწყმიან ერთმანეთს იმედი და წარსული და აწყობა და ჩვენი შესაძლებლობები. ცოცხალ, ამწვანებულ ველებზე მივაბიჯებდით. ყველაფერს გამძაფრებით აღვიქვამდით. გონება გამალებით მუშაობდა. იმ დილით ღმერთები ვიყავით, ჯეიმს; მე კიდევ სულ ცოტა ხნის წინ შევირთე ცოლად ჩემი ქალღმერთი, კეიტლინ დუბჰ ნიკ რეაკტიენი, ღმერთმა აცხონოს მისი

²⁴ (ლათ.) იმპერატორის/მმართველის განკარგულება.

სული. ჰოდა, ამ ქალის და ჩემი ჩვილი ვაჟის აკვანში მიტოვება ნამდვილად გმირობა იყო. ღმერთო, რა შესანიშნავი ყმანვილები ვიყავით. ფეხით ჩავალწიეთ... სადამდე..? გლენტისამდე! ერთ დღეში მთელი ოცდასამი მილი გავიარეთ. და სწორედ იქ, ფელანის პაბში, მოგვენატრა ათენი, როგორც ოდისევსს. *Desiderium nostrorum* – მშობლიურის მონატრება. სულ სხვა რამ გვენატრებოდა, ჯეიმს, გვენატრებოდა რაღაც ძველისძველი და მშვიდი. და უკან დაბრუნებისას ეს იყო უგრძესი ოცდასამი მილი, რაც კი ცხოვრებაში გამომივლია. (*ჯიმის სადღევრძელოს სვამს*) მეგობარო, თავგზა თუ აგებნა, ამაში სამარცხვინო არაფერია.

(შემოდის მეირე)

მეირე: აჰა, დავბრუნდი. სადღაც მივდიოდი, მაგრამ აღარ მახსოვს, სად. ასე რომ, ისევ აქ დავბრუნდი.

ჰიუ: ჰო, გასწავლი ინგლისურს, მეირე კატახ.

მეირე: მართლა, მასწავლებლო? აუცილებლად უნდა ვისწავლო. ძალიან მჭირდება.

ჰიუ: შენ ალბათ ჩემი ერთადერთი მოსწავლე იქნები. (*კიბისკენ მიდის და საფეხურებს აუყვება*).

მეირე: როდის დავინწყებთ?

ჰიუ: დღეს ვერა. ალბათ, ხვალიდან. დასაფლავების შემდეგ. ხვალიდან დავინწყით. (*საფეხურებს მიუყვება*) მაგრამ მეტისმეტის მოლოდინი ნუ გექნება. ცოტა სიტყვებს გასწავლი და ცოტა გრამატიკასაც. თუმცა, ამით ადამიანის გულისნადებს რამდენად გაიგებ ამით, ვერ გეტყვი. არ ვიცი. მაგრამ, ერთი ესღა გვაქვს და აღარც თუ არარც ვილაპარაკეთ... მართლა არაფერი ვიცი. (*მიაღწევს ბაქანს*)

მეირე: მასწავლებლო, რას ნიშნავს ინგლისური სიტყვა “სამუდამოდ”?

ჰიუ: *Semper – per omnia saecula*. ბერძნები ასე ეძახდნენ – *aei*. თუმცა, ამ სიტყვით ნუ დავინწყებთ, სულელური სიტყვაა, ჩემო გოგონა. (*ჩამოჯდება*)

(ჯიმი გამოიღვიძებს. ფეხზე დგება. მეირე დაინახავს სახელების წიგნს, აიღებს და მუხლებზე დაიდებს.)

მეირე: როცა დაბრუნდება, აქ მოვა. ასე მითხრა, აქ თავს უბედნიერესად ვგრძნობო.

(ჯიმი მეირეს გვერდით ჩამოუჯდება)

ჯიმი: იცი ბერძნული სიტყვა ენდოგამეინ? ეგ ნიშნავს, თანატომელთან ქორწინებას. და სიტყვა ექსოგამეინ უცხოტომელთან ქორწინებას ნიშნავს.

როგორც წესი, მაგ საზღვრების დარღვევა იოლი არაა – ორივე მხარე ბრაზობს, შეურაცხყოფილია. ახლა, საქმე ისაა, არის თუ არა ათენა საკმარისად მოკვდავი, ან მე თუ ვარ საკმარისად ღვთაებრივი, რომ ჩვენი ოჯახებისთვის ეს ქორწინება მისაღები იყოს? იფიქრე, აბა, ამაზე.

ჰიუ:

Urbs antiqua fuit – იყო ერთი უძველესი ქალაქი, რომელიც იუნონას გამორჩეულად ჰყვარებია. ჰოდა, ქალღმერთს, თურმე, იმედი ჰქონდა, ოდესმე ეს ქალაქი მსოფლიოს ხალხების დედაქალაქად ექცია – თუკი ბედისწერა ასე ინებებდა. თუმცა ერთხელაც შეიტყო, რომ ტროელთა სისხლისგან წამოსული ტომი ერთ დღესაც ფინიკიურ სიმაგრეებს გააცამტვერებდა, - ესენი იყვნენ დიდი იმპერიების მეფენი და უბადლო მეომარნი, რომელნიც ლიბიას დაასამარებდნენ – ასეთი იყო... ასეთი იყო ბედისწერის განაჩენი... რა ჯანდაბა მჭირს? ეს ისტორია ხომ გადასარევად ვიცი თავიდან ბოლომდე. თავიდან დავიწყებ. Urbs antiqua fuit – იყო ერთი უძველესი ქალაქი, რომელიც იუნონას გამორჩეულად ჰყვარებია.

(სინათლე თანდათან იკლებს)

ჰოდა, ქალღმერთს, თურმე, იმედი ჰქონდა, ოდესმე ეს ქალაქი მსოფლიოს ხალხების დედაქალაქად ექცია – თუკი ბედისწერა ასე ინებებდა. თუმცა, ერთხელაც შეიტყო, რომ ტროელთა სისხლისგან წამოსული ტომი ერთ დღესაც ფინიკიურ სიმაგრეებს გააცამტვერებდა, - ესენი იყვნენ დიდი იმპერიების მეფენი და უბადლო მეომარნი, რომელნიც ლიბიას დაასამარებდნენ...

სიბნელე.